ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 15 სექტემბერი, 2021 №172 (8701) ფასი: 60 თეთრი

## აკაკი ნემსაძის ცოლი: „არ იყო ისეთი სულელი ბიჭი, რომ თავი მოეკლა“


გვ.5

# „ის მოსმენები, რომლებიც ჩვენ დროს ხდებოდა, ახლა გაასმაგდა“


გვ.2

გიორგი ბარამიძე: „ამ ჩანაწერებს მწვანე შუქი ივანიშვილისგან აქვს ანთებული“



„მჯერა, რომ სააკაშვილი ჩამოვა, ტყუილად არაფერს ლაპარაკობს“

## „ეკლესიას საფრთხე ემუქრება“


გვ.3

დავით ჭიჭინაძე: „ჩაწერები „ოცნების“ მოგონილი არ არის და კარგად გვახსოვს წარსული, მაგრამ ეს პროცესი გაორმაგდა“



## „გახარიას ბრალია, ვაქცინა დროულად რომ არ გვქონდა“


გვ.3

ვატო სურგულაძე: „ჩვენი მთავრობა ტყუილს ამბობს, როდესაც აცხადებს, რომ პედაგოგების 40-60% აცრილია“

## „ტესტები ნარკომანიასა და ფსიქიკურ მდგომარეობაზე ყველა კანდიდატმა და თანამდებობის პირმა უნდა ჩააბაროს“


გვ.4

ანზორ აბრალავა: „საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება და ეკლესია ერთ პლატფორმაზე აღმოჩნდნენ. ვიღაცას ეს არ ეპიტნავება“

## „აფხაზეთისა და ოკუპირებული ტერიტორიების თემა არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ახსენდება“


გვ.4

მამუკა გვაძაბია: „მე დისიდენტი ვარ, ციხეშიც ნამყოფი, მოუსმენიათ კიდეც, დევნილი ვიყავი ორჯერ, ყველაფერი გამოვცადე საკუთარ თავზე, მაგრამ, დღეს რაც ხდება, არც კი მსმენია“

ISSN 1987-9385

2 ირაკლი კობახიძემ დიანა ტრაპაიძესა და ნიკა გვარამიას გარყვნილი ადამიანები უწოდა

5 პროკურატურამ სუსის ფარულ ჩანაწერებზე გამოძიება დაიწყო

5 ხაზარაძის, ჯაფარიძისა და წერეთლის სასამართლოზე ბრალდების მოწმეთა გამოკითხვა დასრულდა

6 დონორები ავღანეთს 1.1 მილიარდი დოლარით დაეხმარებიან

# გიორგი ბარამიძე: „ის მოსმენები, რომლებიც ჩვენ დროს ხდებოდა, ახლა გაასმაგდა“

## „ამ ჩანაწერებს მწვანე შუქი ივანიშვილისგან აქვს ანთებული“

იაგო ნაცვლიშვილი



„მჯერა, რომ სააკაშვილი ჩამოვა, ტყუილად არაფერს ლაპარაკობს“

რა პასუხი აქვს „ოცნების“ განცხადებაზე, რომ საზღვარგარეთიდან პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების ინტერნეტში გავრცელებას ენმ გეგმავს? რატომ არ შეცვალა მანკიერი პრაქტიკა ამ ხელისუფლებამ და იცოდნენ თუ არა თავად, როდესაც მათ დროსაც ხდებოდა უკანონო მოსმენები? ვინ არის ნაცმოძრაობის მთავარი ლიდერი, მელია თუ სააკაშვილი? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი ბარამიძე** საუბრობს.

***– მამუკა მდინარაძე აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობა გეგმავთ პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების გავრცელებას. რა პასუხი გაქვთ ამაზე?***

– ეს უტიფრები ხელისუფლებაში მოვიდნენ და ნაციონალურ მოძრაობას უტიფრად და ურცხვად დააბრალეს 10 თვის ბავშვის მკვლელობა. ამით დაიწყეს, ჯერ ხელისუფლებაში მოსულიც არ იყვნენ. ხელისუფლებაში რომ მოსულიყვნენ, ეს გამოიყენეს. მე არ ვიცი, ბავშვი მაგათ მოკლეს თუ ვინ, საიდან დაემთხვა მაინცდამაინც არჩევნების დღეს ეს ტრაგედია, მაგრამ, პირდაპირ ხელი რომ დაგვადეს, ეს ხომ გვახსოვს! ეს გააკეთა მაგათმა ერთ-ერთმა ლიდერმა, ქალბატონმა ბერიკაშვილმა, რომელიც შემდეგ კულტურის მინისტრი იყო, სულ პოლიტიკურ თანამდებობაზე გახლდათ.

თუ რამე დააშავეს და დაანგრიეს, იქნება ეს ეკონომიკა თუ სხვა რამე, ყველაფერზე ჩვენკენ იშვერენ ხელს.

***– ამისთვის განცხადების გაკეთებაა საჭირო თუ მოქმედება და დამნაშავის დაკავება, თუ ასეთი ინფორმაცია მართლაც აქვთ?***

– ცხადია, ხელისუფლებაში არიან და საქმე უნდა მოაგვარონ, მაგრამ ესენი დაკავებული არიან მხოლოდ შავი პიარით.

***– კიდევ იმუშავებს ეს შავი პიარი?***

– როგორც ჩანს, რაღაც ამომრჩეველში, იმ ნაწილში, რომელიც მაინც ჰყავთ, რაღაც დონეზე იმუშავებს. უკვე ძალიან ცოტა მხარდამჭერი ჰყავთ, 25%-ც აღარ ჰყავთ, მაგრამ 25%-ც ბევრია. გასაგებია, რომ აქ ის ხალხიც არის, ვინც ამ ხელისუფლების არსებობით ხელს ითბობს, კორუფციული სქემებით, ტენდერებითა და ე.წ. ატკატებით. ასევე კრიმინალურ სამყაროს აწყობს ეს ხელისუფლება, რომელიც მათთან გარიგებულია, ასევე იდეოლოგიურად ვინც რუსეთის მხარეზეა, მაგრამ კიდევ ხომ არის ვიღაცა ამ ყველაფრის მიღმა და ამ ადამიანებზეა გათვლა. არ მინდა, ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგი იმდენად გონებასუსტია, რომ ვერ ხვდება. როდესაც ხელისუფლება ლაპარაკობს ამას, კონკრეტული ქმედება უნდა მოჰყვეს.

ამბობენ, რომ ხან სახელმწიფო გადატრიალებას ვაწყობთ, საბურავებს ვაგროვებთ და ა.შ. მაგრამ ხომ არც ერთი ფაქტი არ დადასტურებულა! ერთადერთი გავრილოვის ღამესთან დაკავშირებით ნიკა მელია დაადანაშაულეს, რომელიც პარლამენტის შენობაში იყო და კაცი ძალით გამოაგდეს შენობიდან. ეს კადრები არსებობს.

***– მოსმენებზე გაჟღერებული ინფორმაცია მოულოდნელი იყო თქვენთვის?***

– ესენი ყველას უსმენენ და, სამწუხაროდ, გვქონდა ფაქტები, რომ მოსმენები ამათ დროს გაასმაგდა. ივანიშვილს სხვა თავისტკივილი და საზრუნავი არ აქვს.

***– თქვენ დროსაც ყველას გვისმენდნენ, ტელეფონით საუბრის გვეშინოდა და ესეც გვახსოვს. უბრალოდ, მაშინ არ ვრცელდებოდა.***

– ეგაა საქმე, რომ ახლა მართლა ყველას უსმენენ. მაშინ შეიძლება ადამიანების რაღაცა რაოდენობა მოხვდა ამაში, რაც, რა თქმა უნდა, დანაშაულია, მაგრამ არც ისინი დაუსჯიათ. გაგიგიათ ვინმეზე, რომ დაისაჯა ამის გამო?!

***– გეთანხმებით, ეგაა პრობლემა, რომ არავინ დასჯილა.***

– პრობლემა მარტო ეგ კი არაა, არამედ ისიც, რომ ეს ადამიანები გადაიბარეს და 100-ჯერ მეტი მოსმენაა, ტექნოლოგიებიც განვითარდა და აპარატურაც მეტი იყიდეს. ამ 9 წელიწადში უდიდესი პროგრესი განიცადა კომპიუტერულმა ტექნიკამ.

***– პირადად ჩემთვის ყველაზე ყურადსაღები სუსის ყოფილი თანამშრომლის წერილი იყო, რომლის მიხედვითაც ის იმედოვნებდა, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ეს დასრულდებოდა, მაგრამ ბოროტების მასშტაბები გაიზარდა და. ა.შ.***

– გაასმაგდა მასშტაბები და ჩვენ ვართ ბოროტების წყარო და სიმსივნეო. ეს მართლა შოკისმომგვრელი წერილია ადამიანისა. არავინ არის დაზღვეული, რომ რაღაცა მოხდეს. ეს ყველა ხელისუფლების დროს შეიძლება მოხდეს. მოსმენებთან დაკავშირებით ვიღაცები აუცილებლად უნდა დასჯილიყვნენ, ბრძანების გამცემიც და შემსრულებელიც, პირველ რიგში კი – ბრძანების გამცემი.

***– თქვენ არ იცოდით ხელისუფლებაში ყოფნის დროს, რომ ადამიანებს უსმენდნენ?***

– არა, საიდან?! ზოგადად ყველა ქვეყანაში უშიშროება ვიღაცას უსმენს და ეს კრიმინალთან ბრძოლისა და ჯაშუშების გამოვლენის ერთ-ერთი მეთოდია.

***– თუმცა ამას სასამართლოს ნებართვა სჭირდება.***

– დიახ, ამას სჭირდება შესაბამისი დარეგულირება. ჩვენ დროს ჯერ არ იყო საკანონმდებლო ბაზა დარეგულირებული ნორმალურად და ვიღაცებმა ამით ისარგებლეს, მაგრამ ესენი მოვიდნენ ამ ლოზუნგით, რომ ასეთი რაღაცები არ უნდა ხდებოდეს. მერე თვითონ რა კანონმდებლობაც მიიღეს, ხომ გახსოვთ?! სახალხო დამცველმაც თქვა, რომ საერთოდ არ არის დარეგულირებული. უშუალოდ სუსის დაქვემდებარებაში დატოვეს ფარული მიყურადების საშუალება. სუსს უნდა ჰქონდეს ამის საშუალება, მაგრამ – დარეგულირებულად, სასამართლოს ნებართვით და ა.შ.

***– დავით ზურაბიშვილმა თქვა ჩვენთან ინტერვიუში, მაშინდელ კოალიციაში დათმობაზე წავედით და ეს იყო დანაშაულებრივი დათმობაც კიო.***

– ისინიც კი აღიარებენ, ვინც მაშინ კოალიციაში იყვნენ. ჩვენ მაშინ ვამბობდით, რომ რადგან გვაქვს იმის პრაქტიკა, რომ ეს ხდებოდა, არა აქვს მნიშვნელობა, რომელ ხელისუფლებაში იყო ეს, ვინაიდან ასეთი პრაქტიკა იყო, აუცილებლად გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც ამით ისარგებლებენ, თუ სამართლებრივი ხარვეზი არ გამოასწორე. ამათ კი შეგნებულად არ გამოასწორეს ეს. ამას გარდა, ფაქტი გვაქვს სახეზე, რომ ამდენი წლის განმავლობაში არც ერთი ჯაშუში არ გამოვლენილა.

ჩვენი ხელისუფლება ჯაშუშებსა და კრიმინალებს რომ ებრძოდა, კარგად იცით.

ჩვენ დროს კი გააკეთეს ჩანაწერები, მაგრამ ვერავინ გაბედა, რომ ეს ჩანაწერები გამოექვეყნებინა, იმიტომ რომ იცოდნენ, პრეზიდენტი და სხვა მაღალი თანამდებობის პირები ამისთვის დასჯიდნენ მათ. ახლა კი ამ ჩანაწერებს მწვანე შუქი ყველაზე მაღალი წერტილიდან აქვს – პირდაპირ ივანიშვილისგან და, შესაბამისად, მარიონეტი პრემიერ-მინისტრებისგან.

***– ეკლესიისგან რას ელოდებით და ფიქრობთ, რომ საარჩევნო პროცესზე გავლენას მოახდენს?***

– ეკლესიაშიც ხომ ადამიანები არიან და შეუძლებელია, ამაზე არ აღშფოთდნენ, როდესაც რწმუნდები, როგორ უნამუსოდ იქცეოდნენ. ყველა ნაბიჯს რომ გიკონტროლებენ, თითოეულ სიტყვას იწერენ და ეს ყველაფერი საჯაროდ ქვეყნდება. ეკლესიაშიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან და შეუძლებელია, არ აღშფოთდნენ.

***– ვერ მოგვარდებიან ხელისუფლება და საპატრიარქო ამჯერად?***

– არ ვიცი. მე ვპასუხობ თქვენს ზოგად კითხვას. ეკლესიაშიც ადამიანები არიან და როგორ შეიძლება, საღად მოაზროვნე ადამიანები არ აღშფოთდნენ. ერშიც და ბერშიც არის ისეთი, რომელიც დახარბებულია ფულს და ყაბულს იქნება, თუ რაიმე სიკეთეს მისცემენ, ფული იქნება თუ სხვა რამე, ამის გამო თვალები დახუჭოს. ის იტყვის, ჯანდაბას, მომისმინე, ოღონდ სანაცვლოდ, აი, ეს მინდაო.

ასეთი ყველგან არის, პარტიებშიც და არასამთავრობოებშიც და ა.შ. ასეთები იქნებიან, მაგრამ მჯერა, რომ უდიდესი უმრავლესობა ასეთი არ არის. მე არ მოვუწოდებ სასულიერო პირებს, საარჩევნო პროცესში ჩაერთონ, მაგრამ ვფიქრობ, ადეკვატური რეაქცია უნდა ჰქონდეთ. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ყველა დალაგდება და 5 ნომერს შემოხაზავს, მაგრამ სხვა არჩევანიც არის. უმრავლესობამ იცის, რომ საქმის კეთება იცის ნაციონალურმა მოძრაობამ. კარგის კეთებაც ვიცით, ცუდის გამოცდილებაც გვაქვს და ვიცით, რომ ეს ცუდი არ უნდა გავაკეთოთ. კარგი საქმის კეთება მოხდება სააკაშვილის ლიდერობითა და ნიკა მელიას თავმჯდომარეობით.

***– ნაციონალურ მოძრაობაში მთავარი ლიდერი დღეს მაინც მიხეილ სააკაშვილია?***

– რა თქმა უნდა. მე არასოდეს დამიმალავს ეს.

***– ვახსენეთ სააკაშვილი და აქვე გკითხავთ, ჩამოვა არჩევნებამდე საქართველოში?***

– მე ამოვდივარ იქიდან, რაც თქვა. მჯერა, რომ ის ტყუილად არაფერს ლაპარაკობს.

***– თუმცა, წლებია, ის ჩამოდის, მაგრამ ჯერ არ გვინახავს საქართველოში ჩამოსული.***

– კონკრეტული თარიღი არასდროს უთქვამს აქამდე. ის ამბობდა ფრაზებს, „ჩვენ გავიმარჯვებთ“, „ჩამოვალ“, მაგრამ კონკრეტული თარიღი არასოდეს უთქვამს.

მჯერა, რომ ჩამოვა.

## ირაკლი კობახიძემ დიანა ტრაპაიძესა და ნიკა გვარამიას გარყვნილი ადამიანები უწოდა



„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე „ტვ პირველსა“ და „მთავარ არხს“ ნაციონალურ მოძრაობასთან ალიანსში ადანაშაულებს.

მეტიც, პარლამენტის გადაყენებული თავმჯდომარე აცხადებს, რომ დიანა ტრაპაიძე და ნიკა გვარამია ინფორმირებულები არიან, „რა ჩანაწერების გავრცელებას გეგმავს ,,ენმ“.

– კიდევ უფრო მძიმე მოსასმენი იყო ჩვენთვის ნაციონალური მოძრაობიდან გამოჟონილი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ბოლშევიკური კამპანია არის მხოლოდ და მხოლოდ ფონის შემზადება გარკვეული პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების გავრცელებისთვის.

მოგეხსენებათ, ჩვენ ჩავატარეთ ბრიფინგი ამასთან დაკავშირებით, მამუკა მდინარაძის ბრიფინგი და ამის შემდეგ პარტიული ტელევიზიების ორმა წარმომადგენელმა, ნიკა გვარამიამ და დიანა ტრაპაიძემ, გაავრცელეს გარკვეული განცხადებები, სადაც ისინი კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ მთლიანად არიან საქმის კურსში იმ ჩანაწერთან დაკავშირებით, რომელიც უნდა გავრცელდეს ნაციონალური მოძრაობის მიერ.

ეს პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ ამ ორ გარყვნილ ადამიანს პირდაპირი ინფორმაცია აქვს იმ ყველაფერზე, რაც დაგეგმილია ენმ-ს მიერ, – თქვა კობახიძემ.

## კახა კალაძე: „საერთოდ არ მაინტერესებს, ვინ ვის ესაუბრებოდა“



– საერთოდ არ მაინტერესებს, ვინ ვის ესაუბრებოდა. საარჩევნო რეჟიმში ვარ, ვსაუბრობ მხოლოდ და მხოლოდ არჩევნებზე და ქალაქთან დაკავშირებით სამომავლო გეგმებზე.

ასე გამოეხმაურა „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატი კახა კალაძე, სავარაუდოდ, სუსის მიერ ფარული მიყურადების გზით პოლიტიკოსების, სასულიერო პირებისა და ჟურნალისტების მოსმენის თაობაზე ინტერნეტსივრცეში გავრცელებულ მასალებს.

კალაძის თქმით, წინასაარჩევნო პერიოდში მოსახლეობასთან შეხვედრებით არის დაკავებული და ჩანაწერებთან დაკავშირებით რაიმე ინფორმაცია თუ ინტერესი არ გააჩნია.

– არ ვიცნობ ამ ჩანაწერების დეტალებს, არც ინტერესი მაქვს, გულწრფელად რომ გითხრათ. ვარ საარჩევნო კამპანიის რეჟიმში, ყოველდღიურად ძალიან ბევრი შეხვედრა მაქვს მოსახლეობასთან და სასაუბროც ძალიან ბევრი მაქვს. ვსაუბრობთ გაკეთებულ საქმეებზე, გამოწვევებზე და ასევე იმ განსახორციელებელ პროექტებზე, თუ რის გაკეთებას ვაპირებთ მომდევნო წლების განმავლობაში, – განაცხადა კალაძემ.

რაც შეეხება ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას, კალაძემ აღნიშნა, რომ საპარლამენტო არჩევნები 2024 წელს ჩატარდება.

– საპარლამენტო არჩევნებთან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საერთოდ კავშირში არ არის. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ საპარლამენტო არჩევნები, რომელიც მოდის, კონსტიტუციით არის გაწერილი და ჩატარდება 2024 წელს, – აღნიშნა კალაძემ.

## გორში „ოცნების“ მთვრალმა კოორდინატორმა მომხრეების პირადობები დაკარგა



გორში ერთ-ერთმა მოქალაქემ ათობით პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იპოვა. ტანია ცერცვაძე ფიქრობს, რომ პირადობის დამადასტურებელი მოწმობები „ოცნების“ ნასვამმა კოორდინატორმა დაკარგა.

ცერცვაძის თქმით, ნაპოვნი პირადობები მოახლოებულ არჩევნებსა და „ქართული ოცნების“ მხრიდან არჩევნების გაყალბების მცდელობას უკავშირდება.

– ბალახზე 20-30-მდე პირადობა ეყარა. ეს ძველი ტიპის პირადობები იყო. ყურადღება მიიქცია იმან, რომ პირადობა იყო, სურათი გადავუღე და წავედი, არც პოლიცია გამომიძახებია, არაფერი. არჩევნებს დავუკავშირე მერე, – თქვა მან.

მომხდარს გორში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრებიც გამოეხმაურნენ. პარტიაში ამბობენ, რომ მმართველი გუნდი ადგილობრივი არჩევნების გაყალბებისთვის წინასწარ ემზადება და პროცესში გორის მერის მოადგილე თამაზ შიოშვილი მონაწილეობს.

თავად შიოშვილი ბრალდებებს უარყოფს და სასაცილოს უწოდებს.

მისი თქმით, ოპოზიციური პარტია არა არჩევნებისთვის, არამედ, არჩევნების შემდგომ დესტაბილიზაციისთვის ემზადება.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ეკლესიას საფრთხე ემუქრება“

## დავით ჭიჭინაძე: „ჩანერები „ოცნების“ მოგონილი არ არის და კარგად გვახსოვს წარსული, მაგრამ ეს პროცესი გაორმაგდა“

ნათია ხურცილავა

**პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნას“ თავმჯდომარე, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ფარულ, უკანონო ჩანაწერებზე საუბრობს.**

***– ბატონო დავით, მამუკა მდინარაძე აცხადებს, რომ უკანონო ფარული ჩანაწერების გავრცელების მიზანი საკაშვილისთვის ფონის შექმნაა. ის ასევე ამბობს, რომ წინასაარჩევნოდ იგეგმება პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელება. როგორ შეიძლება, განვითარდეს მოვლენები?***

– როგორც ყოველთვის, ხელისუფლება ხაზს უსვამს თავის უსუსურობას, არასახელმწიფოებრივად აზროვნებას. მდინარაძემ და სხვებმაც იციან, ალბათ დაიბარეს სუსის დირექტორები და ჰკითხეს, რა შეიძლება იყოს. მათ უთხრეს, რაც არის. იმ დონის ჩანაწერებზეა საუბარი, რომ შეუძლებელია, ეს ქვედა რგოლს გაეკეთებინა. გუშინ ფაბრიკაციააო, გვიმტკიცებდნენ, დღეს გვეუბნებიან, რომ თურმე პირადი ცხოვრების ჩანაწერებიც არსებობს და ისიც გავრცელდება. მდინარაძემ ეს გვითხრა. ისე არიან ახლართულები, როგორც ჩანს, ძალიან ეშინიათ.

***– რისი?***

– ალბათ მათი ჩანაწერებიც არის და ეს ჩანაწერებიც მოსმენილია. რომელი სანიმუშო და სამაგალითო პოლიტიკოსები გვყავს, რომ არ ეშინოდეთ. ამიტომ, როგორც ჩანს, ეშინიათ. მახსოვს, „ქართული ოცნების“ დეპუტატებზე თვითონ როგორ ავრცელებდნენ. ბუმერანგის ეფექტი აქვს ამ ყველაფერს. ახლა ეს ყველაფერი მათ უბრუნდებათ.

***– როგორ შეიძლება, გამოსულიყო?***

– შიგნიდან ვიღაცამ გამოიტანა, ვინც ძალიან გაბრაზებულია მათზე. ეტყობა, ამაზე ინფორმირებული არიან „ოცნების“ ხელმძღვანელობაში.

რეალურად კი ქვეყანაში ძალიან დიდი დანაშაულია ჩადენილი. უკანონოდ, ფარულად ყველას მოსმენა და თვალთვალი ისეთი დანაშაულია, რომელიც არ შეიძლება, უპასუხოდ დარჩეს. ამაზე შესაბამისმა პირებმა პასუხი უნდა აგონ. წარმოიდგინეთ, ეს რამხელა დანაშაულს შობს. მაღალი თანამდებობის პირები, სახელმწიფო მოხელეები, რომლებზეც შეიძლება იყოს ასეთი უკანონო ჩანაწერები, როგორი წნეხისა და შანტაჟის ქვეშ აღმოჩნდებიან. ხომ შეიძლება, ეს ფაილები ჩვენი ქვეყნის მტრის ხელში აღმოჩნდეს და ამ დროს, წარმოგიდგენიათ, სახელმწიფო როგორი დაუცველი შეიძლება იყოს?! ამას აცნობიერებს „ქართული ოცნება“?! ამაზე იღებს პასუხისმგებლობას ხელისუფლება?! მთელი პოლიტელიტა თუ ჩაწერილია, თუ ჩაწერილი არიან სახელმწიფო მოხელეები, რა გამოდის, რომ სახელმწიფოს უსაფრთხოება დგას კითხვის ნიშნის ქვეშ?! ამიტომ სასწრაფოდ უნდა დაიწყოს გამოძიება. აუცილებელია, გამოძიებასთან ითანამშრომლოს ყველა ჩაწერილმა პირმა. ეს ძალიან შემაშფოთებელია. ამიტომ მდინარაძეს ვურჩევ, ჯობია, იმაზე იფიქროს, როგორ აღმოჩნდა სახელმწიფო ასეთი დაუცველი.



***– ვისზე შეიძლება იყოს ჩანაწერები?***

– ყველაზე.

***– „ქართული ოცნების“ დეპუტატებზეც?***

– პირველ რიგში, ალბათ, მათზეა. ჩანაწერები „ოცნების“ მოგონილი არ არის და კარგად გვახსოვს წარსული, მაგრამ ეს პროცესი გაორმაგდა. ინსტიტუტებზეა შეტევა. ამაზე ვიღაცამ პასუხი უნდა აგოს.

ისე, რა საინტერესოა, სპეცსამსახურის თანამშრომლები „ქართულმა ოცნებამ“ ადგილობრივ არჩევნებზე კანდიდატებად დაგვისახელა. ძირითადად სპეცსამსახურის კადრები არიან. ძალიან სამარცხვინო სიტუაციაა. ეს უნდა გააცნობიეროს საზოგადოებამ და ამას უნდა გასცეს პასუხი.

***– ხელისუფლება ამბობს, რომ ოპოზიცია წერს ამ ფაილებს. რას უპასუხებთ?***

– თუ ოპოზიცია წერს ხელისუფლებას და შემდეგ აშანტაჟებს, ხელისუფლება დამთავრებულა და ეს არის. თუ ასეთი ქსელი აქვს ოპოზიციას და ასეთ ჩანაწერებს აკეთებს, გამოვიდეს ხელისუფლება და გვითხრას, როგორ ხდება ეს ყველაფერი. თუ ასეთი სადაზვერვო სისტემა აქვს ოპოზიციას, რა გამოდის?! რა ხდება, მართლა იდიოტებად გვთვლიან ყველას, მთელ ქვეყანას?! პირდაპირ გეუბნებით, ამ განცხადების ავტორი საგიჟეთშია წასაყვანი, პოლიტიკაში კი არ უნდა იყოს.

***– წინა ხელისუფლების დროს გაკეთებული ჩანაწერების ფაილებია გატანილიო.***

– და აიღონ ამაზე პასუხისმგებლობა, რატომ გაატანეს?! დაცვის სისტემა რატომ არ მუშაობდა? რა, არ იციან, ვინ გაიტანა?! ამ ინფორმაციაზე წვდომა რამდენიმე პირს აქვს. რიგით თანამშრომლებს იქ წვდომა არ აქვთ.

***– გასაგებია, რომ ეს ყველაფერი წინასაარჩევნო პერიოდს შემთხვევით არ უკავშირდება, მაგრამ რამდენად იმუშავებს?***

– ის ადამიანი, რომელმაც გამოიტანა და გაასაჯაროვა, თვლის, რომ იმუშავებს. როგორც ჩანს, არჩევნების მოახლოებისას კიდევ უფრო დიდ საოცრებას უნდა ველოდოთ.

***– ეკლესიის ჩართვა ამ პროცესში თქვენთვის რა გზავნილია?***

– ეს არის პირდაპირ ეკლესიის დისკრედიტაციისკენ მიმართული ნაბიჯი, თუმცა ეკლესიას ვერაფერს დააკლებენ, რადგან ეკლესია მხოლოდ მღვდლები არ არის. ეკლესია მრევლია, ეკლესია რწმენაა. მაღალი იერარქები რაღაცნაირად უნდა გამოვიდნენ ამ ყველაფრიდან. უკვე სამარცხვინოა მათი ყურება. ეკლესიას, მის ავტორიტეტს ემუქრება საფრთხე, ადამიანების რწმენას ემუქრება საფრთხე. ეს უნდა გააცნობიერონ პირველ რიგში ამ იერარქებმა.

# „გახარიას ბრალია, ვაქცინა დროულად რომ არ გვქონდა“

## ვატო სურგულაძე: „ჩვენი მთავრობა ტყუილს ამბობს, როდესაც აცხადებს, რომ პედაგოგების 40-60% აცრილია“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ჯანდაცვის ექსპერტი ვატო სურგულაძე პასუხობს.**

***– ბატონო ვატო, როგორ აფასებთ ქვეყანაში შექმნილ პანდემიურ სიტუაციას? ბოლო პერიოდში კლების ტენდენცია შეინიშნებოდა, თუმცა გუშინ საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი იყო. როგორ მუშაობს ჯანდაცვის სისტემა და რა პრობლემების წინაშეა ქვეყანა?***

– როდესაც თქვენ უყურებთ ხოლმე ახალდაინფიცირებულების რაოდენობას, აუცილებლად შეხედეთ, აბა, რამდენი ტესტი გაკეთდა იმ დღეს. როცა კვირას გაკეთდა სულ 15 თუ 16 ათასი ტესტი, ამიტომაც გასაგებია, რომ ახალი შემთხვევა 980 იყო, ხოლო ორშაბათს გაკეთდა 35 ათასი და მივიღეთ 3500. რომ გაგვეკეთებინა 60 ათასი ტესტი, მაშინ გვეყოლებოდა 5 ათასი ახალი დაინფიცირებული, თანაც ყველა ტესტი ფასიანი უნდა გახდესო. ამ ფონზე კი ადამიანები უფრო ნაკლებად გაიტესტებიან, რადგან არ აქვს ხალხს ფული, არც 15 ლარი აქვს და არც 55 და არც 100 მით უმეტეს, ამიტომაც, როდესაც გვეუბნებიან, რომ სიტუაცია გამოსწორდა, შევხედოთ, რამდენი ტესტი გაკეთდა. ტესტის გარეშე რეალურ სურათს ვერ შევაფასებთ. სიტუაცია თუ მცირედით გაუმჯობესდა, ეს ხელისუფლების დამსახურება კი არაა, ვირუსს აქვს აქტიური ფაზა, მერე თვითონვე ჩამოდის ქვემოთ. მერე ისევ აქტიური ფაზა იწყება. ყოველდღე გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკებია და ამას ვერსად გავექცევით.



> **„მეხუთე ტალღა ოქტომბერ-ნოემბერში გვექნება“**

***– მოვისმინე შეფასებები, თითქოს ხელისუფლებას მცდელობა აქვს, უკეთესი სურათი წარმოაჩინოს, ცდილობს, დამალოს რეალური სურათიო. რატომ აკეთებს ამას?***

– ჩვენს მთავრობაში ლოგიკის მოძებნა არის ზუსტად იგივე, ბნელ ოთახში რომ ეძებო შავი კატა, რომელიც იქ არ არის. ვერასდროს იპოვი. არანაირი ლოგიკა არ არის ჩვენი მთავრობის მოქმედებაში. არ ვიცი, რატომ ცდილობენ ამას. ალბათ, რომ გვითხრან, ნახეთ, რა მაგრები ვართ, მოვერიეთ პანდემიასო. წესით, დღეს სწავლა უნდა დაწყებულიყო, სამწუხაროდ, ისევ ონლაინ იწყება. აბსოლუტურად ყველა ევროპულ ქვეყანაში, გერმანიასა და საფრანგეთზე არაფერს ვამბობ, იმავე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში – ლიეტუვაში, ლატვიაში, მოლდოვაში, ბულგარეთში, აბსოლუტურად ყველგან საკლასო ოთახებში დაიწყო პირველ სექტემბერს სწავლა. მზადება აგვისტოში კი არ დაიწყეს, არამედ – ივნისში.

***– 4 ოქტომბრიდან დავიწყებთო და რეალურად ხედავთ ამის შესაძლებლობას თუ ესეც მორიგი ცრუ დაპირებაა?***

– უკვე რამდენჯერ დაგვპირდნენ და არ შესრულდა. სწავლა რომ საკლასო ოთახში დაიწყოს, სკოლები ამისათვის თავიდან ბოლომდე უნდა იყოს მზად. მზად უნდა იყვნენ პედაგოგები, დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები, დირექტორები, მდივნები, აბსოლუტურად ყველა. უმძიმესი სიტუაცია გვაქვს, ჩვენ ვიღებთ გაუნათლებელი ბავშვების თაობას. ბავშვებს სოციალიზაცია აკლიათ. იცით, რომ ქვეყნისთვის ყველაზე დიდი სიმდიდრე ჯანმრთელი და განათლებული ახალი თაობაა. ჩვენ, სამწუხაროდ, ამაზე არ ვზრუნავთ. მე თვითონ ვკითხულობ 5 უნივერსიტეტში ლექციებს. ონლაინსწავლება აბსოლუტურად არაფრის მომცემია. სტუდენტები მაინც უკვე ზრდასრულები არიან და წარმომიდგენია, რა ხდება სკოლებში, განსაკუთრებით – დაწყებით კლასებში. ეს ყველაფერი ძალიან უხარისხოა. ონლაინსწავლება ჯერ არა გვაქვს იმ დონეზე მიყვანილი, რომ ეს იყოს ხარისხიანი. სკოლების გახსნა თუ გვინდოდა, მზადება უნდა დაგვეწყო ივნისის ბოლოდან. ყველა სკოლას უნდა ჰყავდეს გადამზადებული და აცრილი ექიმი და ექთანი.

***– პედაგოგებშიც არ არის აცრის მაღალი მაჩვენებელიო.***

– კი, არ არის. ჩვენი მთავრობა ტყუილს ამბობს, როდესაც აცხადებს, რომ პედაგოგების 40-60% აცრილია. მარტო მასწავლებელზე არ არის, სკოლის დამლაგებლიდან დაწყებული, დაცვის სამსახურით დამთავრებული, ყველა აცრილი უნდა იყოს.

***– რესპუბლიკური საავადმყოფოს კლინიკურმა მენეჯერმა გააკეთა განცხადება, აუცრელი პედაგოგი კლასში არ უნდა შეუშვანო. რას იტყვით, ეს რამდენად სწორი დამოკიდებულებაა?***

– ამის ასეთი კატეგორიული ტონით გაჟღერება ცოტა რთულია, იმიტომ, რომ არავის ჩაუტარებია ამ ხალხთან შეხვედრები, არ აუხსნია მათთვის, რამდენად მნიშვნელოვანია აცრა. უნდა დაიბარონ პედაგოგები რესუსცენტრებში, დაუჯდეს მათ შესაბამისი სპეციალისტი და უპასუხოს მათ ყველა შეკითხვას ამომწურავად. უამრავი სამუშაოა, ესენი კი სხედან და ძალიან მდაბიო ხარისხის სარეკლამო რგოლებს უშვებენ. აიცერი და გადაარჩინე და ასე შემდეგ. სათითაოდ დაუსხედით ამ ხალხს და აუხსენით, რატომ და რისთვის უნდა აიცრას! რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, საფრანგეთში ასეა, პირველ სექტემბერს რომელი პედაგოგიც არ იყო აცრილი, დაკარგა სამსახური. ახლა ნუ ვიტყვით, რომ ვიღაცაზე უფრო მეტი დემოკრატია გვაქვს ქვეყანაში. ჩვენთან უამრავი პრობლემაა და ალბათ ეს დაძალებაც ძალიან რთული იქნება. ახსნაა საჭირო, ხალხს ინფორმაცია არა აქვს. ზოგს აცრა ფასიანი ჰგონია, ამიტომაც ჩვენი მთავრობა არ ან ვერ მუშაობს. რა მნიშვნელობა აქვს, ორივე შემთხვევაში დამნაშავეა.

***– გარდაცვალების მაღალ მაჩვენებელზე რას იტყვით?***

– ძალიან მაღალი მაჩვენებელია. პირველ ადგილს ვინარჩუნებთ გარდაცვლილთა რაოდენობით მილიონ მოსახლეზე. რატომ ხდება ასე? იმიტომ არის გვიანი დიაგნოსტიკა, პირველადი ჯანდაცვის, ანუ ოჯახის ექიმების არასწორი მუშაობა. ზოგი მათგანი, ისე გავა ერთი კვირა, არც კი შეეხმიანება ინფიცირებულს. ეს რგოლი ფაქტობრივად ჩავარდნილია. შესაბამისად, გვიანი გადაყვანაა კლინიკაში და მკურნალობის გვიანი დაწყება. ამიტომაც გვაქვს ასეთი მაღალი მაჩვენებელი.

***– მედიკამენტების დეფიციტი აქვთ კლინიკებსო. ასეა?***

– ეს პრობლემა არ არის გადაუჭრელი. ზოგ შემთხვევაში ხდება, რომ რაღაც დეფიციტი იქმნება, მაგრამ მაქსიმალურად ცდილობენ, სასწრაფოდ იყოს აღმოფხვრილი. მაგალითად, სისხლის შედედების საწინააღმდეგო პრეპარატზე აქვთ ხოლმე პრობლემები, მაგრამ ცდილობენ, სხვა საავადმყოფოებიდან აიღონ და, მერე რომ შეივსებიან, დაუბრუნონ. მართლაც ტიტანურ შრომას ატარებენ კლინიკები, ექიმები და ექთნები.

***– ძალიან მძიმე მეოთხე ტალღა გვქონდა, ჯერ ესეც არ დასრულებულა და უკვე მოსალოდნელ მეხუთე ტალღაზე ალაპარაკდნენ. გვექნება მეხუთე ტალღა?***

– კი, გვექნება. ესენი ამბობენ იანვრის ბოლოს და მე გეტყვით, რომ უფრო ადრე გვექნება, ოქტომბრის ბოლოს, ნოემბრის დასაწყისში. ნახეთ, როგორ დავარდა ვაქცინაციის პროცესი. 35 ათასს რომ მიაღწია დღეში, ისეთი გახარებული ვიყავი, ახლა კი 22-25 ათასია. ჩვენ გვჭირდება 45 ათასი დღეში იმისათვის, რომ შედეგი გვქონდეს, რათა მეხუთე ტალღამ საერთოდ არ გადაგვიაროს. შესაძლოა, სკოლების გახსნაზე საუბარი არც კი იყოს. ძალიან მინდა, რომ 4 ოქტომბერს გაიხსნას სკოლები, მაგრამ იქნება კი სათანადოდ მომზადებული სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები?!



***– ანუ მეხუთე ტალღაც მძიმე იქნება?***

– კი, ძალიან. თუ ასე არაფრის კეთებაში გაიყვანეს დრო, რა თქმა უნდა, მძიმე იქნება, თანაც ვხედავთ, რომ ახალი შტამი გამოჩნდა, მიუ შტამი. არავინ იცის, რას იზამს. ჯერჯერობით არანაირი ინფორმაცია არა მაქვს, კვლევები აქტიურად მიმდინარეობს. ევროპა მომზადებულია, შეიძლება ითქვას, რომ ევროპა მოერია ამ ვირუსს. ჩვენც შეგვეძლო, ვყოფილიყავით არა მარტო მათ სიაში, არამედ ლიდერებიც კი, თუმცა ყველაფერს ჩამოვრჩით, ვაქცინა არ ვიყიდეთ თავის დროზე. ასე რომ უკრავენ დღეს ტაშს გახარიას, სწორედ მაგის ბრალია, რომ ვაქცინა არ გვქონდა დროულად. მხოლოდ და მხოლოდ მისი ბრალია!

***– რატომ არ იყიდა?***

– იმიტომ რომ შტერია! მისი უნიათობით, მისი არაპროფესიონალიზმით, მისი რისკების არშეფასებით ჩვენ ვართ სიკვდილიანობით პირველ ადგილზე და ერთ-ერთი ბოლო ვაქცინაციის რაოდენობით. ყველა გაუმკლავდა და ჩვენ ისევ ამ დღეში ვართ.

# „ტესტები ნარკომანიასა და ფსიქიკურ მდგომარეობაზე ყველა კანდიდატმა და თანამდებობის პირმა უნდა ჩააბაროს“

## ანზორ აბრალავა: „საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება და ეკლესია ერთ პლატფორმაზე აღმოჩნდნენ. ვიღაცას ეს არ ეპიტნავება“

მარიამ მჭედლიშვილი

წინასაარჩევნოდ შექმნილ მდგომარეობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ანალიტიკოსს, ყოფილ დეპუტატს ანზორ აბრალავას.



***– ფარულ გავრცელებულ ჩანაწერებზე არაერთი კომენტარი გაკეთდა. თქვენ რას მიაწერთ და უკავშირებთ ამ მასალების გამომზეურებას? ეს რის მანიშნებელია?***

– ამით საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მორიგი დარტყმა მიაყენეს. ეკლესია დიდი ხანია, იმყოფება დარტყმის ქვეშ. ვინც წინა თავდასხმების ორგანიზატორი და მონაწილე იყო, ესეც იმის გაკეთებულია. გვეუბნებიან, რომ ჩანაწერები უაღრესად სანდო წყარომ მიაწოდა. რა სანდო წყაროზეა ლაპარაკი, როცა ხელწერა იგივეა. ახლანდელი თავდასხმაც აგრესიულმა ათეისტურმა ძალებმა მოაწყვეს. ეს ძალები ანტისახელმწიფოებრივადაც არიან განწყობილი. საქართველოს ისტორიის უდიდესი ნაწილი დაკავშირებულია ქრისტიანულ რელიგიასთან. ქართული კულტურა ასოცირდება ქრისტიანობასთან. აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობა დაკანონდა 337 წლიდან, დასავლეთში – 342 წლიდან. ეკლესიაზე შემოტევები ადრეც ყოფილა. ახლანდელი ავანტიურაც ამის შემადგენელია. ჩვენ ვხედავთ ანტისახელმწიფოებრივი ძალების შეტევებს. მათთვის არ უნდა არსებობდეს ინსტიტუციური და პიროვნული ავტორიტეტები.

***– ფარულ მიყურადება-გადაღებებში სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლების მონაწილეობაზე რას იტყვით?***

– ვინც ამაში ჩაბმულია, ვაი მას! სამუდამოდ ანათემასაა გადაცემული.

***– ბოლო ჩანაწერებს საარჩევნო დატვირთვაც აქვს?***

– ზუსტად საარჩევნო დატვირთვა აქვს ამას. საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება და ეკლესია ერთ პლატფორმაზე აღმოჩნდნენ. ვიღაცას ეს არ ეპიტნავება. შტურმს ახორციელებენ ყველაზე, ვისაც მასობრივი ორგანიზებული მხარდაჭერა აქვს, ვისაც ხალხზე ზემოქმედება შეუძლია. ხელისუფლება და ეკლესია ერთ პრიზმაში განიხილებიან და ორივეს აყენებენ დარტყმებს. რასაკვირველია, ამაში ხელისუფლების ესა თუ ის მოქმედი თუ ყოფილი მოხელეც მონაწილეობს. ეს ემთხვევა ანონსებს ჩამოსვლის შესახებ.

***– სააკაშვილის შესაძლო ჩამოსვლაზე მიანიშნებთ. მან სამხედროებსაც მოუწოდა, შეასრულონ თავიანთი სამოქალაქო მოვალეობა.***

– ეს მოწოდებები ავანტიურისტულია. განდიდების მანიით შეპყრობილ სააკაშვილს რატომღაც ჰგონია, რომ მისი ბრძანებით სამხედროებიც ჩამწკრივდებიან, ექიმებიც, მასწავლებლებიც და მის ბრძანებებს შეასრულებენ. ჯარს რანაირად მიმართავს – თავი უმაღლესი მთავარსარდალი ჰგონია?! პოლიტიკაში რომ ვინმეს უნდა მონაწილეობა, ეს ჩვეულებრივი მოვლენა და ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა. გააჩნია, ვის რისთვის უნდა პოლიტიკაში მოსვლა და დაბრუნება. სააკაშვილისთვის ესაა ნგრევა და დისკრედიტაცია. ანტიქრისტიანული, ანტისახელმწიფოებრივი აგრესიული ძალების კიდევ ერთი გაბრძოლება ემთხვევა სააკაშვილის ზრახვებს.

***– უკმაყოფილო საზოგადოება სად იდგება?***

– სააკაშვილს უნდა უკმაყოფილო ხალხის გამოყენება, მაგრამ აქამდე ეს არ გამოსვლია. ამა თუ იმ საკითხით უკმაყოფილო ადამიანების მეტი რა არის! ჩვენს ხალხს უამრავი სატკივარი აქვს. არც „ქართული ოცნებაა“ სამაგალითო, მაგრამ ხალხი შედარებას აკეთებს. სააკაშვილის, მისი ნაციონალური მოძრაობის გვერდით, ანტიეკლესიურ და ანტისახელმწიფოებრივ ჯგუფებთან შედარებით, „ქართული ოცნება“ უკეთესად გამოიყურება. დააკვირდით, რა არეულ-დარეულობა და უზნეობაა ოპოზიციაში. გიგი უგულავა, რომელიც ცოტა ხნის წინ სააკაშვილს მკვეთრად აკრიტიკებდა, დღეს მიშას ელოდება. გიგა ბოკერია გაიძახის, არჩევნებს მიყალბებენო. ერთი ის ხალხი მაჩვენა, ვინც ბოკერიას აძლევს ხმას! ეს ადამიანები ნორმალურებად არ მიმაჩნია. ჩვენი, საზოგადოების სირცხვილია, რომ პოლიტიკაში ვანავარდებთ იმ პირებს, რომლებიც ეროვნულ ხელისუფლებას ამხობდნენ და მაშინ ავტომატებით დარბოდნენ. ეს ხალხი აქამდე უნდა ჩამოგვეწერა. ასეთი დამნაშავეების ჩამოწერის აქტი ახლა მაინც უნდა გაფორმდეს.



***– დიდი აურზაური მოჰყვა ნარკოტესტის ჩაბარებას. თბილისის მერობის კანდიდატი გიორგი გახარია უნდობლობას უცხადებს სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს და აპირებს, ტესტი ევროპაში ჩააბაროს.***

– თუ ერთ ბიუროს არ ენდობა, სხვაგან ჩაიტაროს ტესტი. მთავარია, რომ ტესტირება ყველამ გაიაროს – კანდიდატებმაც, თანამდებობის პირებმაც. ტესტები ნარკომანიასა და ფსიქიკურ მდგომარეობაზე ყველა კანდიდატმა და თანამდებობის პირმა უნდა ჩააბაროს. ეს რომ მოხდეს, გარწმუნებთ, ზოგი პარტია და მისი ლიდერი პოლიტიკას გამოეთიშებიან. ბევრჯერ გამომითქვამს წუხილი იმის გამო, რომ ხდება ნარკომანიის რეკლამირება და აფიშირება. ეს ამწუთას არ დაწყებულა. 2003 წლის ე.წ. რევოლუციას ელიზბარ ჯაველიძემ უწოდა მორფინისტების რევოლუცია და არცთუ უსაფუძვლოდ. როცა სააკაშვილი თავის ხალხიანად პარლამენტში შემოიჭრა, საკანონმდებლო ორგანო ნახმარი შპრიცებითა და ამპულებით გაივსო. მაშინ დეპუტატი ვიყავი და ამ ნაგვით ჩემი ოთახიც გაავსეს.

# „აფხაზეთისა და ოკუპირებული ტერიტორიების თემა არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ახსენდება“

## მამუკა გვაძაბია: „მე დისიდენტი ვარ, ციხეშიც ნამყოფი, მოუსმენიათ კიდეც, დევნილი ვიყავი ორჯერ, ყველაფერი გამოვცადე საკუთარ თავზე, მაგრამ, დღეს რაც ხდება, არც კი მსმენია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებთან დაკავშირებით დამოუკიდებელი ექსპერტი მამუკა გვაძაბია პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, რა ურთიერთობაა დღეს ქართულ-აფხაზურ ხელისუფლებას შორის და რა ინფორმაციებს ფლობთ აფხაზეთში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით?***

– საკმაოდ საინტერესო პროცესები მიმდინარეობს, თუმცა ის, რაც ახლა აფხაზეთში ხდება, ქართველი პოლიტიკოსების ყურადღებას საერთოდ არ იპყრობს. ფაქტობრივად აფხაზეთისა და ოკუპირებული ტერიტორიების თემა არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ახსენდება, არც ოპოზიციას, ხელისუფლებას რომ თავი დავანებოთ. ეს დიდი შეცდომაა პოლიტიკური პარტიების მხრიდან. ისინი ფიქრობენ, რომ ეს თემა ხმების მოპოვების საკითხში მათ ვერ დაეხმარება და ამიტომ არც არავინ საუბრობს ამ საკითხზე. ჩვენ თუ არ ვიაქტიურებთ და ვისაუბრებთ ამ პრობლემებზე, ამ საკითხებზე ჩვენ მაგივრად სხვა არ ილაპარაკებს. დღეს აფხაზეთში საკმაოდ საინტერესო სიტუაციაა.

***– რა თვალსაზრისით?***

– დე ფაქტო აფხაზეთში რუსეთის ე.წ. საელჩო მოქმედებს. ამ რამდენიმე დღის წინ ამ საელჩოს წარმომადგენელი რუსეთის დავალებით ჩამოსული იყო გალის რაიონში. გალში 50-55 ათასი ქართველი მოსახლეობაა. ყველასთვის ცნობილია, რამხელა ტანჯვა გადაიტანა ამ მოსახლეობამ, რამდენიმეჯერ დევნილობა, ათასობით ადამიანია დახოცილი, მაგრამ მამაპაპეულ საცხოვრებელს მაინც ბევრი მათგანი დაუბრუნდა. შეიძლება, სახლ-კარს არავინ უწვავს მათ, მაგრამ ქართველი მოსახლეობა, ქართული ენა მაინც იდევნება, ბავშვებს სკოლაში მშობლიურ ენაზე ვერ ასწავლიან და ასე შემდეგ. ამ საელჩოს წარმომადგენელი გალის რაიონის ქართველ მოსახლეობას დაჰპირდა, თქვენ გვერდში ვიქნებით და ყველაფერში დაგეხმარებითო. ეს ხომ პარადოქსია! ჯერ თვითონ მოუწყვეს გენოციდი და ახლა დახმარებას ჰპირდებიან. დღეს მათი პოზიცია თუნდაც დასავლეთში არ არის მომგებიანი და ცდილობენ, დადებით კონტექსტში წარმოაჩინონ თავი. იქ საკმაოდ დიდი სომხური დიასპორაა და მათაც დახმარებას ჰპირდებიან.



***– ეს ყველაფერი რაზე მეტყველებს, რას ცდილობენ ამით?***

– თავისთავად, ეს გადაგდებული ანკესია, მაგრამ ნაწილი მოსახლეობისა, რომელიც იქ ძალიან დიდ გაჭირვებაშია, შესაძლოა, ამ საკითხს „გაგებითაც“ მოეკიდოს. რა პოლიტიკა აქვს რუსეთს და რა უნდა? თუნდაც განსხვავებით ყირიმისგან, რომელიც ოკუპირებულია დღეს რუსეთისგან. თავიდან, როდესაც ოკუპაცია დაიწყო, მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსეთისთვის ყირიმის შეერთების მომხრე იყო. დღეს აფხაზეთის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მოწინააღმდეგეა რუსეთისთვის აფხაზეთის მიერთებისა, განსხვავებით ე.წ. სამხრეთ ოსეთისაგან. რუსეთს მონეთნიკური გაძლიერება აფხაზეთში არ აწყობს, არც აფხაზეთის საერთაშორისო აღიარებითაა დაინტერესებული, რადგან, თუ პრორუსული განწყობილებები აფხაზეთში არ არის და მათ რუსეთთან მიერთება არ უნდათ, მაშინ არც რუსეთს უნდა აფხაზეთის საერთაშორისო დონეზე აღიარება. ეს მისთვის ახალი თავისტკივილია. აი, ამ ლაბირინთებშია გაბმული აფხაზეთში დე ფაქტო პოლიტიკური სიტუაცია. ამ სიტუაციაში ივანიშვილის ფაქტორი დღემდე აქტუალურია.




***– რა თვალსაზრისით?***

– რუსეთი ამ საკითხებში ფსონს არავისზე დებს, დებს მხოლოდ ივანიშვილზე. მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილი სხვებივით არ არის მის სასუსნავს დახარბებული, საკუთარიც საკმარისი აქვს, რუსეთი საკმაოდ პრაგმატულად თვლის მას და ფსონს მხოლოდ და მხოლოდ ივანიშვილზე დებს.

***– რა მიზანი აქვთ?***

– რუსეთს ივანიშვილზე ისეთი რაღაცები გააჩნია, მათ შორის, სერიოზული კომპრომატები, რომ გამოჭერილი ჰყავთ. ბიძინა ივანიშვილი მაქსიმალურად ლავირებს, თუმცა, ბოლო 4-5 წელია, მხოლოდ პრორუსულ საქმეებს აკეთებს. მეორე მხრივ, ივანიშვილი დასავლეთსაც ეთამაშება. მათ ეუბნება, რა გინდათ, ნატოს წვრთნებს ვატარებ, გემები შემოდიან, თუმცა მთავარი, რა მოთხოვნაც იყო და რაზეც დგას ევროატლანტიკური დემოკრატია, ეს არის სასამართლო სისტემის რეფორმა, რომელზეც ივანიშვილმა კატეგორიული უარი თქვა. ეს ყველაფერი პირდაპირ ბმაშია რუსულ კავშირებთან. მკვეთრად ზარალდება საქართველოს სახელმწიფო ინტერესები. ნახეთ, რით არის დაკავებული სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური?! რა არ მინახავს, დისიდენტობა, ციხეშიც ნამყოფი ვარ, მოუსმენიათ კიდეც, დევნილი ვიყავი ორჯერ, მართლა ყველაფერი გამოვცადე საკუთარ თავზე, მაგრამ ისეთი რაღაც, რაც დღეს ხდება, არც კი მსმენია. ერთი კაცი ეუბნება ამათ, მე ხელისუფლება უნდა შემინარჩუნოთო და ესენიც ყველაფერს აკეთებენ, რომ ივანიშვილმა როგორმე შეინარჩუნოს ხელისუფლება.

***– ივანიშვილის დავალებით კეთდება ეს ყველაფერი?***

– მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ვიღაცამ ვიღაცას რომ მოუსმინა და ვიღაცამ ჩანაწერები რომ გააკეთა, ამას ეგრევე ივანიშვილს აწვდიან, მაგრამ ყველანაირად ცდილობენ, რომ იმ ერთ კაცს ხელისუფლება შეუნარჩუნონ. მაქსიმალურად აკონტროლებენ ყველაფერს, აკონტროლებენ ეკლესიას. სუსი იმიტომ ვახსენე, რომ ეს პირდაპირ ბმაშია აფხაზურ საკითხებთან.

***– რას გულისხმობთ, ჩვენს უსაფრთხოებას აფხაზეთთან რა კავშირი აქვს?***

– თუ ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტი ხმას არ იღებს აფხაზეთთან მიმართებით, სამაგიეროდ, სუსი თანამშრომლობს იქაურ უშიშროებასთან. ქართული სახელმწიფო უშიშროების სამსახური პირდაპირ თანამშრომლობს აფხაზეთის უსაფრთხოების სამსახურებთან.

***– ამით რის თქმა გსურთ?***

– ამ ეტაპზე მეტ ინფორმაციას ნუ მომთხოვთ.

***– თანამშრომლობაში რა იგულისხმება?***

– პირდაპირი მითითება აქვთ, რომ რაც შეიძლება ისეთი ნაბიჯები გადაიდგას აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების მხრიდან, რომ დანარჩენი საქართველოსთვის ეს შერბილებულად გამოიყურებოდეს და პრორუსული განწყობილებები დანარჩენ საქართველოში განვითარდეს. რითიც დავიწყე, ესეც სწორედ ამის გამოძახილი იყო, რუსეთის საელჩოს წარმომადგენელი ქართულ რეგიონს რომ სტუმრობს და დაპირებებს იძლევა.

# ხაზარაძის, ჯაფარიძისა და წერეთლის სასამართლოზე ბრალდების მოწმეთა გამოკითხვა დასრულდა



თბილისის საქალაქო სასამართლოში ე.წ. ფულის გათეთრების საქმეზე მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარის მოწმეთა გამოკითხვა დასრულდა.

სასამართლო სხდომა საქმეში არსებული მტკიცებულებების განხილვით გაგრძელდება.

როგორც პროცესის დასრულების შემდეგ ავთანდილ წერეთლის ადვოკატმა, კახა წერეთელმა აღნიშნა, პროცესზე გამომძიებლები დაიკითხნენ, რომლებმაც საგამოძიებო ორგანოს დანაშაულის ნიშნების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია, თუმცა წერეთლის თქმით, გამომძიებლების ჩვენება ბრალდების მხარისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულება არ ყოფილა და არანაირი მანიშნებელი ფულის გათეთრებაზე არ მოუსმენიათ.

– საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო იმ გამომძიებლების დაკითხვა, რომლებმაც ნახეს დანაშაულის ნიშნები, თუმცა ჩვენს შეკითხვაზე, თუ რა დაინახეს აუცილებელი ნიშანი ფულის გათეთრებისა – ტრანზაქციის შენიღბვა, წარმომავლობის დამალვა თუ რაიმე სიყალბე, მათგან კონკრეტული პასუხი ვერ მივიღეთ. მათ თქვეს, რომ ზოგადად შეექმნათ ასეთი წარმოდგენა და ზოგადად თანხის სესხება, ან გადასესხება ნამდვილად არ ნიშნავს ფულის გათეთრებას.

შესაბამისად, ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ეს მნიშვნელოვანი მტკიცებულება ბრალდების მხარისთვის არ ყოფილა და არანაირი მანიშნებელი ფულის გათეთრებაზე არ მოგვისმენია.

ახლა წერილობითი მტკიცებულებების გამოკვლევას ვიწყებთ, 27 ტომია და საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი გველოდება წინ. ეს არის დოკუმენტები, რაც მოიპოვა გამოძიებამ, მოვიპოვეთ ჩვენ და გადმოცემული აქვს სასამართლოს, ეს პროცესიც დაიწყება, – აღნიშნა კახა წერეთელმა.

საქმის პროკურორ არჩილ ტყეშელაშვილის ინფორმაციით, გამომძიებლების ჩვენებებით დადასტურდა, რომ მტკიცებულებების მოპოვება კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით მოხდა და საქმეში არსებული ცალკეული კომპონენტები ერთობლიობაში ქმნიან დანაშაულის შემადგენლობას.

– დაიკითხნენ საქმის გამომძიებლები, მათი ჩვენებებით დადასტურდა, რომ ყველა მტკიცებულების მოპოვება მოხდა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით. ჩვენ გავაკეთეთ შეფასება და ამ ტრანზაქციებს, ასევე მის წინარე მოქმედებებს მათ შორის ოფშორული კომპანიის შემოყვანას და ბანკიდან სესხის ჩამოწერას მივეცით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის კვალიფიკაცია, რაც წარმოადგენს დანაშაულს.

ეს კომპონენტები კუმულატიურად შეადგენენ დანაშაულს, იგულისხმება ფიქტიური სესხის ხელშეკრულება, გადარიცხვები, კონვერტაციები და ოფშორული კომპანიის შემოყვანა, ეს ქმედებები ერთობლიობაში ქმნიან დანაშაულის შემადგენლობას, – განაცხადა არჩილ ტყეშელაშვილმა.

# აკაკი ნემსაძის ცოლი: „არ იყო ისეთი სულელი ბიჭი, რომ თავი მოეკლა“



სუსის ყოფილი თანამშრომლის აკაკი ნემსაძის მეუღლე ამბობს, რომ არ აქვს ინფორმაცია, მან გაავრცელა თუ არა უწყების საიდუმლო მასალები.

„მთავარი არხის“ ინფორმაციით, ნემსაძე სწორედ ის პირია, რომელმაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გასაიდუმლოებული კრებსები სოციალურ ქსელში გაასაჯაროვა, შემდეგ კი თავი მოიკლა.

ნემსაძის ცოლი ვერც თვითმკვლელობის ვერსიაზე საუბრობს და „მთავარ არხთან“ საუბრისას ამბობს, რომ ნემსაძეს სამსახურში პრობლემები არ ჰქონია.

მისივე თქმით, ის სუსის ყოფილი თანამშრომლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოძიების დასრულებას ელოდება.

– არ იყო ისეთი სულელი ბიჭი, რომ ასე გაეკეთებინა, მიზანი არ იყო. პრობლემები რომ ჰქონოდა, დაეტყობოდა, ვერ ვატყობდი ვერაფერს. არაფრის არ მჯერა მე, არ ვიცი. გუშინდელი გადაცემიდან მე შოკში ვარ, მართლა ვერ ვხვდები, რა ხდება, – თქვა აკაკი ნემსაძის ცოლმა.

მანვე მცირე კომენტარი გააკეთა „ფორმულასთან“:

– არანაირი ინფორმაცია არ მაქვს, ველოდები გამოძიებას.

– თავი მოიკლა?

– ასე ამბობენ, მაგრამ სამაგისო არაფერი სჭირდა, არ მჯერა, რომ თავი მოიკლა, – განაცხადა აკაკი ნემსაძის ცოლმა.

12 სექტემბერს ინტერნეტსივრცეში ფარული მიყურადების შესახებ მორიგი ინფორმაცია გავრცელდა. დოკუმენტებში, რომელსაც, სავარაუდოდ, სუსის ყოფილი თანამშრომელი ავრცელებს, პირდაპირ არის აღწერილი კონკრეტული ადამიანების პირადი ცხოვრება. განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული მაღალი იერარქიის სასულიერო პირების სექსუალური ორიენტაციისა და მათი წარსულის შესახებ.

დოკუმენტებში საუბარია პატრიარქის მდივან-რეფერენტ შორენა თეთრუაშვილზე, მოსაყდრე შიოზე, საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელ ანდრია ჯაღმაიძესა და პატრიარქთან დაახლოებულ სხვა პირებზე.

პირის ვინაობა, რომელმაც სუსიდან დაშიფრული ფაილები გამოიტანა, „მთავარმა არხმა“ დაადგინა. ფაქტები ადასტურებს, რომ სუსის გასაიდუმლოებული კრებსების გავრცელების მიღმა, დიდი ალბათობით, ლილუაშვილის უწყების სპეციალური დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი აკაკი ნემსაძე დგას.

ადამიანმა, რომელმაც წლები გაატარა სუსში, საბოლოოდ ამხილა სისტემა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

# პროკურატურამ სუსის ფარულ ჩანაწერებზე გამოძიება დაიწყო

საქართველოს პროკურატურაში მედიასაშუალებების მიერ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციაზე გამოძიება დაიწყო – ინფორმაციას საგამოძიებო უწყება ავრცელებს.

„საქართველოს პროკურატურაში მედიასაშუალებების მიერ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციაზე გამოძიება დაიწყო კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ჩატარდება ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება. მოვუწოდებთ ყველას, ვისთანაც შესაძლოა ინახებოდეს უკანონო ჩანაწერები და მასალები, გამოძიებასთან თანამშრომლობისკენ.



ამასთან, იმ მედიასაშუალებებს, რომლებსაც გააჩნიათ აღნიშნული მასალა, მოვუწოდებთ, ამჯერად მაინც ითანამშრომლონ გამოძიებასთან და მოგვაწოდონ მათ ხელთ არსებული მტკიცებულებები. ასევე ყველას მოვუწოდებთ, თავი შეიკავონ პირადი და პერსონალური ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებისგან“, – წერს პროკურატურა.

პროკურატურის განცხადებიდან რამდენიმე საათში სუსმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც პროკურატურასთან თანამშრომლობის მზადყოფნა გამოთქვა:

„მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გვსურს გამოვეხმაუროთ ბოლო დღეებში მედიასაშუალებების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პროკურატურამ კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით დაიწყო გამოძიება. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მზად არის გამოძიების ყველა ეტაპზე მჭიდროდ ითანამშრომლოს საქართველოს პროკურატურასთან. უწყების ობიექტურ ინტერესს წარმოადგენს ჩატარდეს კომპლექსური და სრულყოფილი გამოძიება, რათა პასუხი გაეცეს ყველა კითხვას.

ამასთან, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მოუწოდებს მედიასა და პოლიტიკურად დაინტერესებულ პირებს, გამოძიების დასრულებამდე, თავი შეიკავონ არაზუსტი და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებისაგან, რადგან მსგავსი ინფორმაციის ტირაჟირება შეურაცხყოფს ცალკეული ადამიანების, უსაფრთხოების ოფიცრებისა და მთლიანად სამსახურის პატივსა და ღირსებას, ამცირებს ნდობას სამართალდამცავი უწყებების მიმართ და უკიდურესად აზიანებს სახელმწიფოს უსაფრთხოების სისტემას“.

# ადიგენელმა მარიკა შაინიძემ ერაყელი შეიხი გააცურა

## საუკუნის ძარცვის ახალი დეტალები

ერთ-ერთი ყველაზე დიდი ძარცვა ერაყის ისტორიაში – „კურიერმა“ გაარკვია ძარცვაში მონაწილე ქართველების მისამართები. ისინი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში არიან რეგისტრირებული. მათ ადგილობრივი შეიხის სახლი გაქურდეს.

ერაყის პოლიციის ინფორმაციით, აკაკი საგინაძემ, ცოტნე მჭედლიძემ და თენგიზ შაინიძემ 2 მილიონ 600 ათასი დოლარი და 4 კილოგრამი ოქრო მოიპარეს. პოლიციამ ნაქურდალი ამოიღო, თუმცა ვერ დააკავა ქალი, რომელიც ოჯახში დამხმარედ მუშაობდა. მან ქვეყანა დატოვა და თან მხოლოდ 20 ათასი დოლარი წაიღო.

შეიხის საცხოვრებელთან დამონტაჟებული ფარული კამერის მიერ გადაღებულ კადრებში ჩანს, როგორ გააქვთ ნაძარცვი საქართველოს მოქალაქეებს.

„კურიერმა“ გაარკვია, რომ ძარცვაში მონაწილე 2 პირი ადიგენელი ცოლ-ქმარი მარიკა და თენგიზ შაინიძეები არიან. ისინი წლების განმავლობაში ერაყში ცხოვრობდნენ. მარიკა შაინიძე მილიონერი შეიხის სახლში რამდენიმე წელი მუშაობდა. დეტალურად იცოდა, სად ინახებოდა მეპატრონის ფული და ოქრო.

მილიონობით დოლარისა და მოპარული ოქროს დიდი ნაწილი ნაძვნარის ტყეში, მიწაში დამარხეს, ნაწილი კი თან წაიღეს და მიიმალნენ. დანაშაულში მხილებული ვერც ერთი ქართველის ადგილსამყოფელს პოლიცია ამ დრომდე ვერ ადგენს, დამარხული ოქრო და მილიონები კი ნივთმტკიცებად ამოღებულია.

გამოძიების ინფორმაციით, დანაშაულებრივ გეგმაში დასახმარებლად მარიკა შაინიძესთან მეუღლე და ახლობლები საქართველოდან ჩავიდნენ. ქურდობის დღეს შეიხისთვის სანდო დამხმარე ქალი სახლში მარტო იყო. გამოძიების ინფორმაციით, ფარულ კადრებში ასახული პირები თენგიზ შაინიძე, ცოტნე მჭედლიძე და აკაკი საღინაძე არიან.

ერთ-ერთი ვერსიით, ბრალდებულთა ნაწილმა თავი თურქეთს შეაფარა.



შეიძლება, დამნაშავე პირთა წრე გაფართოვდეს.

გამოძიების თქმით, მიწაში დამარხული ნაძარცვის წაღებას სხვა კრიმინალები აპირებდნენ.

# 14 წლის ლ.მ. თბილისში 3 მოზარდის დაჭრისთვის დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოსა და დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 2007 წელს დაბადებული ლ.მ. არასრულწლოვნების მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 13 სექტემბერს, თბილისში დაკავებულმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით მრავლობითი ჭრილობები მიაყენა 2007 წელს დაბადებულ გ.ბ.-ს., 2006 წელს დაბადებულ ბ.ხ.-ს და 2006 წელს დაბადებულ გ.მ.-ს.

პოლიციამ ლ.მ. მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა, ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

# მეგის ქარდავას საქართველოში ექსტრადირების ბრძანება უკრაინის სასამართლომ ძალაში დატოვა



საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის მეგის ქარდავას უკრაინიდან საქართველოში ექსტრადირების შესახებ იუსტიციის სამინისტროს ბრძანება უკრაინის სასამართლომ ძალაში დატოვა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მეგის ქარდავას ადვოკატმა მაქსიმ სიჩენკომ განუცხადა, ქარდავას საქართველოში ექსტრადირება ორი კვირის განმავლობაში მოხდება.

– ჩვენ გავასაჩივრეთ ბრძანება ექსტრადირების შესახებ, მაგრამ უარი გვითხრეს. ახლა მისი საქართველოში ექტრადიცია მოხდება, რასაც უახლოეს 2 კვირაში ველოდებით, კონკრეტული თარიღი არ გვაქვს, – განაცხადა სიჩენკომ.

მეგის ქარდავას წინააღმდეგ სისხლის სამართლის 15-მდე საქმე იყო წარმოებაში. ის სისხლის სამართლის 9 საქმეზე უკვე მსჯავრდებულია, მათ შორის არის სერგო თეთრაძის, „ციხის ბუნტის“, თანხის გაფლანგვის საქმეები.

# სტრასბურის სასამართლომ 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებზე საჩივარი მიიღო



ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მიერ მომზადებული კიდევ ერთი სარჩელი მიიღო წარმოებაში, რომელიც 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებს უკავშირდება.

ცენტრის ცნობით, საქმე სახელწოდებით „ბერიკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ სასამართლომ უკვე დაარეგისტრირა.

შსს-ს მიერ დარბეულ დემონსტრაციაზე დაზარალებული მოქალაქე ევროპული კონვენციის მე-3, მე-10, მე-11 და მე-13 მუხლების დარღვევის დადგენას ითხოვს.

ვახტანგ ბერიკაშვილი, რომლის სამართლებრივ ინტერესებს 2019 წლიდან „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ იცავს, 2019 წლის 20 ივნისს იმყოფებოდა პარლამენტის წინ გამართულ საპროტესტო აქციაზე, რათა გამოეხატა მშვიდობიანი პროტესტი საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

2019 წლის 20 ივნისს „ოცნების“ ხელისუფლებამ მშვიდობიანი, ანტისაოკუპაციო აქცია ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დაარბია.

რუსთაველის გამზირზე შეკრებილ მოქალაქეებს ცხოველებისთვის განკუთვნილი ტყვიები ესროლეს და ცრემლსადენი გაზის კვამლში გაახვიეს. არ დაივიწყეს არც წყლის ჭავლის გამოყენება.

პროტესტი და საზოგადოების აღშფოთება კი საქართველოში რუსული დელეგაციის შემოშვებას, რუსი კომუნისტი დეპუტატის, სერგეი გავრილოვის პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩაჯდომასა და მისთვის წითელი ხალიჩის დაგებას მოჰყვა.

# დონორები ავღანეთს 1.1 მილიარდი დოლარით დაეხმარებიან

დონორები ავღანეთის დასახმარებლად, რომელიც თალიბანის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ სიღარიბისა და შიმშილის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, 1.1 მილიარდი დოლარის გამოყოფის პირობას დებენ.

ამის შესახებ 12 სექტემბერს ჟენევაში გამართულ გაეროს კონფერენციაზე გახდა ცნობილი.

შეერთებულმა შტატებმა პირობა დადო, რომ ავღანეთისთვის ჰუმანიტარული დახმარების სახით 64 მილიონ აშშ დოლარს გაიღებს. დამატებით 11.5 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის გეგმის შესახებ განაცხადა ნორვეგიამ.

ჩინეთისა და რუსეთის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ავღანეთის დახმარების მთავარი პასუხისმგებლობა დასავლეთის ქვეყნებს ეკისრებათ.




– შეერთებულ შტატებსა და მის მოკავშირეებს აქვთ უფრო დიდი ვალდებულება, გაზარდონ ეკონომიკური, ჰუმანიტარული და საარსებო დახმარება, – აღნიშნა გაეროში ჩინეთის ელჩმა ჩენ სუმ.

კონფერენციის დასაწყისში გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერეშმა განაცხადა, რომ ავღანეთში ყველაზე აუცილებელი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად 600 მილიონ აშშ დოლარზე მეტია საჭირო.

მისი თქმით, ავღანეთს ჰუმანიტარული კრიზისი ემუქრება და თვის ბოლომდე, შესაძლოა, ქვეყანაში საკვების მნიშვნელოვანი დეფიციტი შეიქმნას.

გაეროს სასურსათო პროგრამის შეფასებით, ავღანეთში 14 მილიონი ადამიანი შიმშილობის ზღვარზე იმყოფება.

# გაერთიანებულ სამეფოში 50 წელს გადაცილებულ პირებს ბუსტერ დოზას შესთავაზებენ



გაერთიანებული სამეფოს ვაქცინაციისა და იმუნიზაციის ერთობლივმა კომიტეტმა ვირუსის მიმართ დაუცველი ადამიანების, სამედიცინო სფეროს თანამშრომლებისა და 50 წელს გადაცილებული პირების ე.წ. ბუსტერ დოზით აცრის რეკომენდაცია გასცა.

ინგლისის მთავარი სამედიცინო ოფიცრის მოადგილე ჯონათან ვან-ტამმა განაცხადა, რომ კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინებმა გაერთიანებულ სამეფოში 112.000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე იხსნა და დაინფიცირების 24 მილიონამდე შემთხვევა აღკვეთა, თუმცა ხაზი გაუსვა, რომ პანდემია ჯერ კიდევ აქტიურია.

– ვიცით, რომ ეს ზამთარი შეიძლება არასტაბილური იყოს. სავარაუდოდ, დაბრუნდება სხვა რესპირატორული ვირუსები, როგორებიცაა გრიპი და რესპირატორულ-სინციტიური ვირუსი. ჩვენ გვსურს, რაც შეიძლება ნორმალურად ვიცხოვროთ და რაც შეიძლება ნორმალური ზამთარი გვქონდეს, ბუსტერ პროგრამის ამოქმედება კი ამის შანსს გაზრდის, – აღნიშნა ჯონათან ვან-ტამმა.

12 სექტემბერს მთავრობის მრჩეველთა ჯგუფმა „მთავარმა სამედიცინო ოფიცრებმა“ კორონავირუსის საწინააღმდეგო ფაიზერ/ბიონტექის ვაქცინით 12-15 წლის ასაკის ბავშვების აცრის რეკომენდაცია გასცა.

# ნორვეგიის საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიცია ლიდერობს



წინასწარი შედეგების თანახმად, ნორვეგიაში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში მემარცხენე ოპოზიცია ლიდერობს.

ხმების 93%-ის დათვლით მიღებული შედეგები მიანიშნებს, რომ ნორვეგიაში სრულდება ცენტრისტულ-მემარჯვენე მთავრობის 8-წლიანი მმართველობა, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ერნა სოლბერგი ხელმძღვანელობდა.

კერძოდ, წინასწარი შედეგებით, ლეიბორისტული პარტია და მისი 2 მოკავშირე, სოციალისტური მემარცხენე და ევროსკეპტიკური ცენტრისტული პარტია, 169-ადგილიან პარლამენტში 100 ადგილს დაიკავებენ, ახლანდელი მთავრობა – 68-ს, 1 მანდატის ბედი კი ჯერჯერობით გაურკვეველია.

# ვლადიმერ პუტინი კარანტინში იმყოფება



რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მის გარემოცვაში დაფიქსირებული დაინფიცირების შემთხვევების გამო თვითიზოლაციაში იმყოფება.

კრემლის პრესსამსახურში არ აკონკრეტებენ, რამდენი დღით დარჩება ვლადიმერ პუტინი კარანტინში.

12 სექტემბერს რუსეთის ლიდერმა განაცხადა, რომ მის გარშემო კორონავირუსით ბევრია დაინფიცირებული და დასძინა, რომ, მისი აზრით, კარანტინში გადასვლა თავადაც მალე მოუწევს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ბავშვმა მაიმუნს თავი ვერ დააღწია და დაიღუპა

ინდოეთის ხიმაჩალ-პრადეშის შტატის ქალაქ მანდიში მაიმუნმა ბავშვი იმსხვერპლა.

ორშაბათს დილით ადრე, აგრესიული მაიმუნი საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე აძვრა, სადაც იმ დროს 11 წლის დივიანშ შარმა იმყოფებოდა.

ბიჭი შეეცადა გააფთრებული მაიმუნისგან თავი დაეღწია, გაქცევა სცადა, მაგრამ შენობის სახურავიდან გადმოვარდა. აღნიშნული შემთხვევის შედეგად ბავშვი ადგილზევე დაიღუპა.

# მძარცველმა 26 წლის წინ მუზეუმიდან მოპარული ბროში ანონიმურად დააბრუნა



ანონიმმა პირმა პოლიციას გაუგზავნა ანგლოსაქსონური ბროში, რომელიც 26 წლის წინ ინგლისის ქალაქ ოკჰემის რატლენდის ოლქის მუზეუმიდან მოიპარეს.

ბრინჯაოს მოოქროვილი ბროში მუზეუმიდან 1995 წელს მოიპარეს. მძარცველებმა მასთან ერთად კიდევ რვა ბროში და რომაული ოქროს ბეჭედი წაიღეს.

ამის შემდეგ მხოლოდ ოქროს ბეჭედი იქნა ნაპოვნი. მუზეუმის თანამშრომლები დარწმუნებული იყვნენ, რომ დაკარგული ნივთები აღარასოდეს დაბრუნდებოდა.

სავარაუდოდ, 26 წლის შემდეგ ერთ-ერთი მძარცველი სინდისმა შეაწუხა და მან ბროში ლონდონის პოლიციას ანონიმურად გაუგზავნა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# თვითმფრინავზე დაგვიანებულმა ქალმა რეისის შეჩერება სალონში ბომბის არსებობის გაცხადებით ცადა



ამერიკელი მარინა ვერბიცკი ოჯახთან ერთად ფლორიდიდან ჩიკაგოში მიმავალ რეისზე აგვიანებდა და გადაწყვიტა, რეისი შეეჩერებინა, ამისთვის კი განაცხადა, რომ თვითმფრინავში ბომბი იყო.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 46 წლის ქალი გასასვლელთან იმ დროს მივიდა, როდესაც მისი რეისი უკვე ასაფრენ ზოლზე გადიოდა. მან რეისის შეჩერება მოითხოვა, ვინაიდან მისი შვილი სასწავლებელში ჩასვლას დააგვიანებდა. ქალის ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე აეროპორტის თანამშრომლებმა უარი განაცხადეს.

ამის შემდეგ ქალმა დაცვის თანამშრომლებთან კონფლიქტი მოაწყო, ხოლო როდესაც ვერბიცკის უთხრეს, რომ მისი ბარგი თვითმფრინავში იყო ჩატვირთული, მან განაცხადა, რომ მის ერთ-ერთ ჩანთაში ბომბი იდო.

ქალი დაუყოვნებლივ დააკავეს. თვითმფრინავის გაფრენა გადაიდო და მგზავრების ევაკუაცია განხორციელდა. აეროპორტის დაცვის თანამშრომლებმა ტერორიზმთან ბრძოლის თანამშრომლებთან ერთად თვითმფრინავი გაჩხრიკეს, თუმცა ბომბი ვერ იპოვეს.

ვერბიცკის ბომბის ჩადების თაობაზე ცრუ შეტყობინების ბრალდება აქვს წაყენებული. მოსამართლეებმა ასევე ქალის ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოკვლევა მოითხოვეს.

# 78 წლის მამაკაცი ბარში დათრობის შემდეგ ოთხი დღე ტყეში დაბოდიალობდა

ტაილანდის პხეტჩხაბურის პროვინციაში მცხოვრები ნიდერლანდელი 78 წლის ფრანცისკუს იოჰანეს ვან როსუმი ადგილობრივ ბარში შევიდა, დალია და შემდეგ ოთხი დღე ტყეში დაბოდიალობდა.

ნიდერლანდელი ვან როსუმი ბარში შევიდა ერთი კათხა ლუდის დასალევად, მაგრამ საბოლოოდ ხუთი ბოთლი ჩანგა, ლუდის ანალოგი, დალია, შემდეგ მოტოციკლზე დაჯდა და გაუჩინარდა.

ნიდერლანდელის მეუღლე 61 წლის რახოტ ჩანვიჟიტი ანერვიულდა, როდესაც ქმარი სახლში არ დაბრუნდა და ბარში დარეკა. მას უპასუხეს, რომ მამაკაცმა მათი დაწესებულება დატოვა და უცნობი მიმართულებით წავიდა. მეორე დილით ვან როსუმმა მეუღლეს დაურეკა და უთხრა, რომ ზედმეტი დალია, დათვრა და ტყეში გზა აებნა. ქალმა დახმარებისთვის პოლიციას მიმართა.

მალე მამაკაცს ტელეფონი დაუჯდა და ცოლმა მასთან კავშირი დაკარგა. სამი დღის შემდეგ გზააბნეული ნიდერლანდელი ადგილობრივებმა აღმოაჩინეს, ტყიდან გამოსვლაში დაეხმარნენ და პოლიციას ჩააბარეს. მამაკაცს რაიმე სერიოზული დაზიანება არ მიუღია, მხოლოდ შიმშილი და წყურვილი აწუხებდა, თუმცა მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა.



სპორტი

# 18 წლამდე ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ტიტულის დასაცავად ემზადება

2-9 ოქტომბერს რუსეთის ქალაქ კალინინგრადში 18 წლამდე მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. ეს ტურნირი კოვიდპანდემიით გამოწვეული ერთწლიანი პაუზის შემდეგ ბრუნდება.

ბოლო 2 ტურნირის გამარჯვებული კი საქართველოს ნაკრები იყო: 2018 წელს ჩვენებმა ფინალში საფრანგეთს 8:3 მოუგეს, ხოლო 2019 წელს ესპანეთი 20:10 დაამარცხეს.

უმცროსი „ბორჯღალოსნების“ გაფართოებული, 43-კაციანი შემადგენლობა მარტყოფის ბაზაზე 2-კვირიან შეკრებაზე განახლებული სამწვრთნელო შტაბით შევიდა. მთავარი მწვრთნელი ზურაბ ამონაშვილია, რომელსაც თორნიკე ბუბუტეიშვილი და პაატა მაისურაძე დაეხმარებიან. ამონაშვილი და ბუბუტეიშვილი ერთად 20-წლამდელთა ნაკრებშიც მუშაობენ, მაისურაძე კი წლების განმავლობაში 18-წლამდელთა ნაკრების მენეჯერი იყო.

**ზურა ამონაშვილი:**

– ეს ჩემთვის ახალი გამოწვევა და პასუხისმგებლობაა. 20-წლამდელთა ნაკრებში სისტემა ისე გვქონდა აწყობილი, რომ დამხმარე მწვრთნელები აქტიურობის მხრივ შეზღუდულები არ ვიყავით. შესაბამისად, ამ კუთხით არანაირ წნეხს არ განვიცდი. მწვრთნელები თორნიკე ბუბუტეიშვილი და პაატა მაისურაძე არიან. თორნიკესთან ერთად დიდი ხანია ვმუშაობ, გარკვეული დროით პაატასთანაც მომიწია გადაკვეთა და ვიცი, რომ კარგად ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. ჩემთვის სასიამოვნოა მათთან ერთად მუშაობა. გარდა ამისა, შემადგენლობაში ის მორაგბეები არიან, რომლებსაც ჩვენთან ერთად აქვთ გავლილი აკადემია და მათ კარგად ვიცნობთ.

18-წლამდელთა გაფართოებულ შემადგენლობაში მრავლად არიან ისეთი მორაგბეები, რომლებმაც ივნის-ივლისში სამხრეთ აფრიკაში 20-წლამდელთა საერთაშორისო სერიაში ითამაშეს.

უმცროს „ბორჯღალოსნებს“ 18 წლამდე სამხრეთ აფრიკასთან მოსამზადებელი მატჩების სერია აგვისტოშიც უნდა გაემართა, მაგრამ სტუმრებს ჩამოსვლაში ხელი კოვიდპანდემიამ შეუშალა.

– მარტყოფში 16 დღის განმავლობაში კოვიდრეგულაციების დაცვით, სრულ იზოლაციაში მოვემზადებით. გაფართოებულ შემადგენლობაში მრავლად არიან მოთამაშეები, რომლებმაც 20-წლამდელთა სერიაში სამხრეთ აფრიკაში დიდი გამოცდილება მიიღეს და ეს აუცილებლად წაგვადგება, თუმცა მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. სამწუხაროდ, კოვიდის გამო აგვისტოში ვერ ვუმასპინძლეთ სამხრეთაფრიკელ თანატოლებს და სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა გვაქვს. ვეცდებით, ეს დანაკლისი ინტენსიური ვარჯიშებით აღმოვფხვრათ. შეკრების ფარგლებში 16 და 24 სექტემბერს ორმხრივ თამაშებს ვგეგმავთ, რის შემდეგაც იმ 26 მორაგბეს შევარჩევთ, რომლებიც კალინინგრადში ტიტულის დასაცავად გაემგზავრებიან. რა თქმა უნდა, ყველა თამაშში მოსაგებად გავალთ, მაგრამ ჩვენთვის უმთავრესი მოთამაშეთა განვითარებაა. ამ ასაკის რამდენიმე ლეგიონერი გვყავს, მაგრამ გადავწყვიტეთ, რომ ამ ეტაპზე მათი გამოძახებისგან თავი შეგვეკავებინა, რათა სხვებსაც მივცეთ თავის გამოჩენის შესაძლებლობა. ეს მომავალში კარგ შედეგს მოგვცემს 20-წლამდელთა ნაკრებში. დარწმუნებული ვარ, ამ ტურნირის შემდეგ ბევრად უფრო უკეთესები გავხდებით როგორც ინდივიდუალურად, ასევე – გუნდურად.

18-წლამდელთა ნაკრები კალინინგრადში 28 სექტემბერს მიემგზავრება და მეოთხედფინალურ შეხვედრას 3 ოქტომბერს გამართავს, ნახევარფინალში 6 ოქტომბერს ითამაშებს, 9 ოქტომბერს კი ფინალური დღეა.

**18-წლამდელთა ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:**

**წინა ხაზი:** გიორგი მამაიაშვილი, ნიკოლოზ ბაბუნაშვილი, თორნიკე ბოყოველი, ბადრი ციხისთავი, დავით მჭედლიძე, ნიკოლოზ კინწურაშვილი, ლაშა ციხისთავი, ნიკოლოზ სუთიძე, დავით ბერიძე, ჯაბა ოდიშარია, ნიკა ყაბანაშვილი (ყველა ლელო), ნიკა გაბედავა, ზურაბ ტალახაძე, ნიკა ლომიძე (ყველა ხარები), ლაშა ფხაკაძე, ლუკა მუშკუდიანი, გიგა თუთისანი, გიორგი გერგედავა (ყველა აია), გიორგი მჭედლიშვილი, გიორგი ჭანტურია (ორივე აკადემია), ლუკა სულუაშვილი, თორნიკე ბაიხოიძე (ორივე ხვამლი), გიგი ქურხული (ვეფხვები), რატი ზაზაძე (არმაზი).

**უკანა ხაზი:** დავით ხუროშვილი, ალექსანდრე ჯილაური, პეტრე ხუციშვილი, დიტო ბერაია, რატი ბერაია, თორნიკე კახოიძე, საბა ციხელაშვილი, შალვა აფციაური, საბა არჩვაძე, ვაჟა მიქაძე (ყველა ლელო), ლადო ტყაბლაძე (აია), მათე ჩქარეული (ყაზბეგი), დავით იმნაძე, თენგიზ სკამკოჩაშვილი (ორივე იუნკერები), ზურაბ ონიანი (არმაზი), ლაშა ცხოვრებაძე (ვეფხვები), ლუკა ხორბალაძე (აკადემია), ლუკა სახელაშვილი (ლოკომოტივი), არჩილ კვარაცხელია (აშშ).

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# კვარაცხელიას ჩერდანცევი ბარსელონაში ხედავს

ქართველი ფეხბურთელის ხვიჩა კვარაცხელიას ირგვლივ რუსეთში აზრის გაყოფა დაიწყო. არის მხარე, რომელიც თვლის, რომ ჩვენებურს დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლია, მაგრამ მეორე მხარე იმასაც წერს, რომ კვარაცხელიას თანამედროვე ფეხბურთისთვის დამახასიათებელი შტრიხები არ აქვს და მისი უპირატესობა მხოლოდ ტექნიკაა.

კვარაცხელია ფეხბურთს ტრავმით გამოწვეული დაახლოებით ერთთვიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა, მისმა ყაზანის რუბინმა კი ურალს 4:0 სძლია. ქართველმა მოედანზე 63 წუთი გაატარა და მე-2 წუთზე რუბინის ახალწვეულ დრეიერს პირველი გოლი გაატანინა.

ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ ყაზანის რუბინისა და ურალის მატჩი შეაფასა და ქართველი ნახევარმცველი მკაცრად გააკრიტიკა. რუსები წერენ, რომ კვარაცხელიამ მაგალითი სწორედ დანიელი ანდერს დრეიერისგან უნდა აიღოს, რომელიც ყაზანელებმა წელს შეიძინეს 5 მილიონად და პირველივე მატჩში ჰეთ თრიკის შესრულება მოახერხა.

– თუკი კვარაცხელიას მთელი ცხოვრება რუსეთის პრემიერლიგაში დარჩენა არ სურს, მაგალითი დრეიერისგან უნდა აიღოს. ისეთი პირი უჩანს, რომ დანიელი ფეხბურთელი მალე დაჩრდილავს რუბინის მთავარ ვარსკვლავს, რომელსაც დრეიერის მარგი ქმედების კოეფიციენტამდე ბევრი უკლია.

ცხადია, დანიელს ისეთი დრიბლინგი არ აქვს, როგორიც ხვიჩას, მაგრამ სხვა დანარჩენი ყველაფერი აქვს. საპირისპიროდ, თუკი მხოლოდ რუსულ პრემიერლიგას არ ვგულისხმობთ, კვარაცხელიას, ტექნიკის გარდა, ძლიერი მხარეები არ გააჩნია. მართალია, გასულ მატჩში ხვიჩამ საგოლე პასი მიითვალა, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც პასი საგოლედ მისმა ავტორმა აქცია. ხვიჩას პასი სუსტი და უხერხულად მისაღები იყო, მაგრამ დანიელმა ქუსლით გატანა მაინც მოახერხა.

საერთო ჯამში, რუბინის ახალწვეულის ფონზე ნათლად გამოჩნდა, რატომ დარჩა ქართველი ფეხბურთელი ყაზანურ კლუბში. არადა, მის ევროპის ტოპკლუბებში ტრანსფერზე ბევრი იწერებოდა. ურალთან შეხვედრაში ის ტრადიციულად დიდხანს ატარებდა ბურთს და არცთუ კარგ გაზონზე მას ხშირად კარგავდა.

საპირისპიროდ, ცნობილმა რუსმა საფეხბურთო კომენტატორმა გეორგი ჩერდანცევმა კვარაცხელიას შესახებ ვრცლად ისაუბრა და ქართველი ფეხბურთელის მიმართ სიმპათიები არ დაუმალავს.

ჩერდანცევის აზრით, კვარაცხელიას შანსი აქვს, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გახდეს და, მისი ნება რომ იყოს, ხვიჩას ბარსელონაში ლიონელ მესის შემცვლელად აიყვანდა.

**გეორგი ჩერდანცევი:**

– როდესაც კვარაცხელიაზე ვსაუბრობთ, საკითხი სწორად უნდა დავსვათ. ფინანსური პრობლემების გამო იუვენტუსმა რონალდუ ვერ შეინარჩუნა, ხოლო ბარსელონამ – მესი. თანამედროვე ფეხბურთში ეს სრულიად ნორმალური ამბავია, როდესაც ახალგაზრდა და ნიჭიერი მოთამაშე კლუბში მოდის, რამდენიმე სეზონს ატარებს, მისი ფასი იმატებს და შემდეგ მას ძვირად ყიდიან.

ფეხბურთი ხომ უბრალოდ გართობა არაა, ის ბიზნესიცაა. კვარაცხელიას ადგილზე სხვები მოვლენ და, იმედია, ისინიც ასეთივე წარმატებულები იქნებიან, მაგრამ ხვიჩას მსგავსი პოტენციალის მქონე ფეხბურთელების მოძიება იოლი ნამდვილად არ იქნება. ჩემი აზრით, კვარაცხელია უნიკალური ტალანტის მქონე ფეხბურთელია. ვფიქრობ, რომ მაღალ დონეზე თამაში ნებისმიერი ლიგის ნებისმიერ კლუბში შეუძლია. ბარსელონის ადგილას მას მესის შემცვლელადაც კი ავიყვანდი.

ასეთი ფეხბურთელები ინგლისშიც ძალიან უყვართ: სწრაფები და ტექნიკურები. თუკი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები არ შეექმნა, მას ბრწყინვალე კარიერა უნდა ჰქონდეს, შეუძლია, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაგარი ფეხბურთელი გახდეს.



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა**

**წლების განმავლობაში ამზადებს ბუნებრივ პროდუქტებზე წამლებს, მალამოებს, ლოსიონის, ორგანიზმის გასაწმენდ ნაყენებს.**

ყველა წამალი არის ბუნებრივი და მორჩენის 100%-იანი გარანტიით.

ქვემოთ ჩამოთვლილი დაავადებების მკურნალობა ხდება უშუალოდ დაავადებისთვის დამზადებული სხვადასხვა მალამოთი და ლოსიონით.

**მოგირჩენთ:**

**თმის ცვენა** – მის მოსარჩენად საჭიროა ლოსიონისა და მალამოს გამოყენება;
**ტილების მოსაშორებლად** – ლოსიონი;
**კოლოსა და მწერების ნაკბენისთვის** – მალამო, რომელსაც აქვს სწრაფი ეფექტი;
**ნაწოლებისთვის** – მალამო, ლოსიონი;
**ჰაიმორიტისთვის** – ლოსიონი, მალამო;
**დამწვრობისთვის** – ლოსიონი, მალამო;
**ბუასილისთვის** – სანთლები, მალამო;
**მარილებისთვის** – ორგანიზმის გამწმენდი დასალევი სითხე;
**სოკოვანი დაავადებისთვის** – აბაზანები, მალამო;

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## შედეგები

**13 სექტემბერი**
**ფეხბურთი**

### ინგლისი. პრემიერლიგა

ევერტონი-ბარნლი ........................... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 11-3 | 10 |
| 2.ჩელსი | 4 | 3 | 1 | 0 | 9-1 | 10 |
| 3.ლივერპული | 4 | 3 | 1 | 0 | 9-1 | 10 |
| 4.ევერტონი | 4 | 3 | 1 | 0 | 10-4 | 10 |
| 5.სიტი | 4 | 3 | 0 | 1 | 11-1 | 9 |
| 6.ბრაიტონი | 4 | 3 | 0 | 1 | 5-3 | 9 |
| 7.ტოტენჰემი | 4 | 3 | 0 | 1 | 3-3 | 9 |
| 8.ვესტ ჰემი | 4 | 2 | 2 | 0 | 10-5 | 8 |
| 9.ლესტერი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-6 | 6 |
| 10.ბრენტფორდი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-2 | 5 |
| 11.კრ.პალასი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| 12.ასტონ ვილა | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| 13.ვულვზი | 4 | 1 | 0 | 3 | 2-3 | 3 |
| 14.საუთჰემპტონი | 4 | 0 | 3 | 1 | 4-6 | 3 |
| 15.უოტფორდი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 3 |
| 16.არსენალი | 4 | 1 | 0 | 3 | 1-9 | 3 |
| 17.ლიდსი | 4 | 0 | 2 | 2 | 4-11 | 2 |
| 18.ბარნლი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-8 | 1 |
| 19.ნიუკასლი | 4 | 0 | 1 | 3 | 5-12 | 1 |
| 20.ნორვიჩი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-11 | 0 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ხეტაფე-ელჩე ..................................... 0:1
გრანადა-ბეტისი ................................ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 13-6 | 10 |
| 2.ვალენსია | 4 | 3 | 1 | 0 | 9-2 | 10 |
| 3.ატლეტიკო | 4 | 3 | 1 | 0 | 7-4 | 10 |
| 4.სოსიედადი | 4 | 3 | 0 | 1 | 6-4 | 9 |
| 5.ბილბაო | 4 | 2 | 2 | 0 | 4-1 | 8 |
| 6.სევილია | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 7.ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 0 | 7-4 | 7 |
| 8.მალიორკა | 4 | 2 | 1 | 1 | 3-3 | 7 |
| 9.ბეტისი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 10.ელჩე | 4 | 1 | 2 | 1 | 2-2 | 5 |
| 11.ოსასუნა | 4 | 1 | 2 | 1 | 4-6 | 5 |
| 12.რაიო | 4 | 1 | 1 | 2 | 5-5 | 4 |
| 13.ვილიარეალი | 3 | 0 | 3 | 0 | 2-2 | 3 |
| 14.ლევანტე | 4 | 0 | 3 | 1 | 5-6 | 3 |
| 15.ესპანიოლი | 4 | 0 | 2 | 2 | 1-3 | 2 |
| 16.კადისი | 4 | 0 | 2 | 2 | 4-7 | 2 |
| 17.გრანადა | 4 | 0 | 2 | 2 | 2-7 | 2 |
| 18.სელტა | 4 | 0 | 1 | 3 | 3-8 | 1 |
| 19.ხეტაფე | 4 | 0 | 0 | 4 | 1-5 | 0 |
| 20.ალავესი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-8 | 0 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ლუგო-უესკა ........................................ 3:2

### იტალია. სერია ა

ბოლონია-ვერონა ............................. 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რომა | 3 | 3 | 0 | 0 | 9-2 | 9 |
| 2.მილანი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-1 | 9 |
| 3.ნაპოლი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-2 | 9 |
| 4.ინტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 9-3 | 7 |
| 5.უდინეზე | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 6.ბოლონია | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 7.ლაციო | 3 | 2 | 0 | 1 | 9-4 | 6 |
| 8.ფიორენტინა | 3 | 2 | 0 | 1 | 5-5 | 6 |
| 9.ატალანტა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 10.სასუოლო | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 11.ვენეცია | 3 | 1 | 0 | 2 | 2-6 | 3 |
| 12.ტორინო | 3 | 1 | 0 | 2 | 6-4 | 3 |
| 13.ჯენოა | 3 | 1 | 0 | 2 | 4-8 | 3 |
| 14.ემპოლი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 15.სამპდორია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| 16.კალიარი | 3 | 0 | 1 | 2 | 5-9 | 1 |
| 17.სპეცია | 3 | 0 | 1 | 2 | 3-9 | 1 |
| 18.იუვენტუსი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |
| 19.ვერონა | 3 | 0 | 0 | 3 | 3-7 | 0 |
| 20.სალერნიტანა | 3 | 0 | 0 | 3 | 2-11 | 0 |

### საფრანგეთი. ლიგა 2

ლე ავრი-ტულუზა ........................... 1:1

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

მარიტიმუ-აროუკა ........................... 2:2
ტონდელა-ეშტორილი ..................... 1:2

### რუსეთი. პრემიერლიგა

რუბინი-ურალი .................................. 4:0
როსტოვი-კრასნოდარი .................. 1:1

### ბელგია. ა დივიზიონი

ბეერსხოტი-სტ.ტრუიდენი .............. 0:1

### თურქეთი. სუპერლიგა

ალანია-გირესუნი ............................ 1:0
გაზიანთეპი-ანთალია ...................... 2:0

### საბერძნეთი. სუპერლიგა

არისი-ოფი ......................................... 0:0

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

ლენჩნა-პლოცკი ................................ 3:2
რადომიაკი-პოგონი ......................... 1:1

### უნგრეთი. 1 დივიზიონი

უიპეშტი-ზალაეგერსეგი ................. 2:2

უიპეშტის პირველი გოლი გიორგი ბერიძემ გაიტანა

### უკრაინა. პრემიერლიგა

ვერესი-ლვოვი .................................. 1:0

### დანია. სუპერლიგა

ოდენსე-სონდერიისკე ..................... 2:1

### შვედეთი. ალსვენსკა

მიალბი-აიკი ..................................... 0:0
ელფსბორგი-ჰაკენი ......................... 4:2
იორებრო-ვარბერგი ......................... 0:3

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## სამგლოვიარო განცხადებები

რევაზ და ლამზირა სისაურების ოჯახი უდიდესი გულისტკივილით ვიზიარებთ და ვუსამძიმრებთ შვილებს: ნელი, ქეთევან, დავით გვაძაბიებს მშობლების

**დავით გვაძაბიასა და ანჟელა გვათუას**

გარდაცვალებას.

საამაყო, დასაყრდენი, იმედიანი, მზრუნველი, ერთგული ...ასეთ სტატუსს ატარებდა ბატონი დავით გვაძაბია – აფხაზეთის მემატიანე.

მისი მეუღლე – უსათნოესი, უკეთილშობილესი, დამსახურებული პედიატრი, საუკეთესო შვილების აღმზრდელი – ქალბატონი ანჟელა გვათუა, რომელთა სიყვარულსა და ურთიერთდამოკიდებულებაზე ლეგენდები დადიოდა. ასე ერთად, აქაც ერთგულად, უღალატოდ გადაინაცვლეს ცათა სასუფეველში.

გისამძიმრებთ ოჯახსა და ყველა ახლობელს ამ საამაყო და ყველა საუკეთესო თვისებით შემკული პიროვნებების გარდაცვალებით გამოწვეულ სულიერ ტკივილს.

სანთელ-საკმეველი არ მოჰკლებოდეთ მათ ვალმოხდილ სულებს ცათა სასუფეველში!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს შეიარაღებული ძალების ვეტერანი, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის ორდენების კავალერი, ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე

**დავით გვაძაბია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მხატვრულად გაფორმებული რბილყდიანი ბროშურა; 2. ხევსურული ტანსაცმელი; 3. ძღვენი, საჩუქარი; 4. სევანის ტბის ძველი სახელწოდება; 5. ქართველი მოქანდაკე, როდენის მოწაფე; 8. ვენესუელის დედაქალაქი; 12. ქართული სამშენებლო კომპანია; 13. საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება; 14. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 16. მადრიდის „ატლეტიკოს" ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 18. ხელოვნების მუზეუმი მილანში; 20. ცხვრის ქონიანი კუდი.

**თარაზულად:** 6. თათარაში ამოვლებული ნიგვზის ან თხილის ასხმულა; 7. საზეიმო კონცერტის დასკვნითი ნაწილი; 8. ბრაზილიური არაყი; 9. მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით; 10. მოქმედების უნარის დაკარგვა, დამბლა; 11. ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი, საერთაშორისო კონკურსების გამარჯვებული; 15. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 17. გენო ხოჯავას მხატვრული ფილმი; 19. ქართველი მხატვარი ქალი; 21. საგამოფენო შენობა; 22. რაიმე საქმის ზერელედ მცოდნე; 23. კინოსა და თეატრის ქართველი მსახიობი მამაკაცი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. გემა; 2. გნოლი; 3. ბეილი; 5. იანუსი; 6. ლაგოდეხი; 9. ენტომოლოგი; 10. იონოსფერო; 11. კუბერტენი; 14. უშუ; 16. როსინი; 18. ლიდა.

**თარაზულად:** 1. გორგია; 4. შვიდეული; 7. სოპოტი; 8. ლიეტუვა; 12. სტუკო; 13. ჟუდეცი; 15. ბოჟოლე; 17. ალი; 19. გვერდწითელი; 20. დინგო; 21. დალესი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ვერდილიო; 2. ეტალონი; 3. ალილო; 4. ზაგრები; 5. მერჩულე; 10. სოლოლაკი; 11. ქსენოფობია; 12. ამფიბია; 15. მოდულაცია; 16. ბიონსე;. 17. ფიდელიო; 20. ვეკუა.

**თარაზულად:** 6. ბერიტაშვილი; 7. კაიზერი; 8. პრომილე; 9. ალკენი; 13. პერო; 14. ესკიმო; 18. ვილსდორფი; 19. ჰიუგო; 21. ცერნი; 22. ელბსი; 23. ქონდაქარი; 24. კვარიათი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


15 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1141

ევრო — 3.6759

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3189

100 რუსული რუბლი — 4.2689

## ამინდის პროგნოზი 15 სექტემბრისათვის




## ანა ჩირაძე გასართობ შოუს წაიყვანს



მსახიობი ანა ჩირაძე, რომელიც მაყურებელმა სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებიდან“ ჩიკას როლით გაიცნო, გასართობ შოუს წაიყვანს.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში 16 სექტემბრიდან დაიწყება „ანნას შოუ“, რომელიც ამერიკული პროექტის ქართული ანალოგია, „ანნას შოუს“ პირველი სტუმარი მისი მეუღლე კონსტანტინე თედელური იქნება.

## ნანა ჩარკვიანი „ჩათის“ წამყვანი აღარ არის




მომღერალი ნანა ჩარკვიანი ტელეკომპანია „ფორმულაზე“ გადაცემა „ჩათის“ წამყვანი აღარ არის. ირაკლი ჩარკვიანისა და ქეთათო პოპიაშვილის შვილმა გადაცემის დატოვების მიზეზად იტალიაში წასვლა დაასახელა.

ნანა რომში მიდის სასწავლებლად, ამიტომაც ის „ჩათის“ წამყვანებსა და მაყურებლებს გადაცემის მსვლელობისას დაემშვიდობა და ყველაფერი საუკეთესო უსურვა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## მეგან მარკლმა კეიტ მიდლტონთან შეხვედრა ერთი სიტყვით დაახასიათა

პრინც ჰარის მეუღლე მეგან მარკლმა ტახტის უფროსი მემკვიდრის უილიამის მეუღლე კეიტ მიდლტონის გაცნობა ერთი სიტყვით დაახასიათა.



პრინცმა ჰარიმ ძმას და მის მეუღლეს შეყვარებული 2017 წელს მისთვის ხელის თხოვნამდე მცირე ხნით ადრე წარუდგინა. იმ დღის გახსენების დროს პრინც ჩარლზის უმცროსმა შვილმა აღიარა, რომ დიდი ხნის განმავლობაში არავის უმხელდა საკუთარი გატაცების შესახებ.

— შემდეგ კი უილიამს ძალიან უნდოდა მასთან შეხვედრა, ასევე კეტრინსაც, — განაცხადა პრინცმა ჰარიმ.

მეგან მარკლმა კეიტ მიდლტონთან თავის პირველ შეხვედრას „სასწაულებრივი“ უწოდა. მან ასევე შეაქო პრინცის ოჯახი, მათ შორის დედოფალი ელისაბედ II, მისი გულთბილად მიღებისთვის. მეგანმა იქვე დაამატა, რომ დედოფალი „წარმოუდგენელი ქალია“.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## იუმორი

კაცმა სახლში ახალი ავეჯი მიიტანა, ძველს კი ფანჯრიდან ყრის. მეზობელმა დაინახა და ეუბნება:

— ბიჭო, სანამ გადააგდებ, დაიძახე მაინც, რომ თავში არავის დაეცეს.

— მე რატომ უნდა დავიძახო, ვისაც დაეცემა, იმან იყვიროს.

•••

დირექტორი მდივანს ორ ფურცელს აწვდის და ეუბნება:

— ეს ორიგინალია, ეს კი მისი ქსეროკოპია, შეამოწმე, სადმე შეცდომა არ იყოს გაპარული.

•••

ორი ნარკომანი ბირჟაზე დგას. ერთი მეორეს ეუბნება:

— ბიჭო, გაიგე, გუშინ მახოს თავი მოუკლავს?

— ისევ?

— ჰო! აგერ მოდის და არ გაგვიგოს, თორემ დაგვხოცავს.

•••

მანქანის გამყიდველი სოფლიდან ჩამოსულ მისი შეძენის მსურველს უხსნის:

— ეს ძალიან მაგარი მანქანაა, აღჭურვილია უსაფრთხოების ბალიშებით და ავარიის შემთხვევაში ბალიშები გაიბერება.

— საიდან მოიტანე, რომ ავარიის შემდეგ ძილის ხასიათზე ვიქნები!

•••

კაცი თონის შესასვლელის თავზე დაკიდებულ წარწერას წაიკითხავს: „ლავაში შეშაზე“ და გამყიდველს ეუბნება:

— კაცურად, შეშა არ მაქვს და ფულზე არ მომცემ?

•••

მამაკაცი ქალს ეკითხება:

— ქალბატონო, თქვენთვის ვინმეს უთქვამს, რა ლამაზი ხართ?

— არა.

— რა გულახდილები შეგხვედრიან სულ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



## მსახიობი ლეილა ძიგრაშვილი გარდაიცვალა



96 წლის ასაკში სახალხო არტისტი ლეილა ძიგრაშვილი გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძემ გაავრცელა:

— წავიდა ლეილა თავის შვილებთან — ქართული თეატრის გამორჩეული არტისტი და ბრწყინვალე მკითხველი ლეილა ძიგრაშვილი გარდაიცვალა.

არ დარჩენილა ქართულ კინოში ქალი, რომელიც ლეილას არ გაეხმოვანებინოს. მიხარია, რომ შევძელი და გავაკეთე მისი ხუთი საღამო და მაყურებელს გავაგებინეთ, როგორი განუმეორებელი მკითხველი იყო.

ლეილა ძიგრაშვილს ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის წინ ვარსკვლავი გაუხსნეს.

## ეროვნული ბიბლიოთეკა ილია ჭავჭავაძის ეროვნული პრემიით დაჯილდოვდა



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ილია ჭავჭავაძის ეროვნული პრემიით დაჯილდოვდა.

ჯილდო ბიბლიოთეკას საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის „ილია ჭავჭავაძის საქველმოქმედო ფონდმა“ გადასცა.

პრემია ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილმა მთაწმინდის პანთეონში ილიას საფლავთან მიიღო.

ილია ჭავჭავაძის ეროვნული პრემია წინა წლებში მიიღეს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, მწერალმა როსტომ ჩხეიძემ, „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიამ“, ილიკო და ნინო სუხიშვილებმა.

## „გააგრძელე საქართველოს ისტორია“ ახალ სერიებს შემოგვთავაზებს




ისტორიულ-შემეცნებითი გადაცემა „გააგრძელე საქართველოს ისტორია“ ახალ სერიებს შემოგვთავაზებს.

როგორც პროექტის ხელმძღვანელი გურამ ქართველიშვილი აცხადებს, სერიებს ძირითადად შემოწირულებებით იღებენ:

— მალე! 1598 წელს სვიმონ პირველმა და მისმა მოკავშირე შაჰ-აბასმა ომი განაახლეს ოსმალეთის იმპერიასთან. ამის კვალდაკვალ, 1599 წელს, სვიმონ მეფემ გორის ციხე გამოგლიჯა ხელიდან ოსმალებს, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასაყრდენი იყო ოსმალთა ბატონობის სიმტკიცისთვის ამიერკავკასიაში.

„გააგრძელე საქართველოს ისტორიის“ ახალ სერიებში, რომლებსაც სექტემბრიდან შემოგთავაზებთ, სიღრმისეულად იქნება წარმოდგენილი შაჰ-აბასის ზეობა, იმ დროის მსოფლიო პროცესები და საქართველო.

უნდა გახაროთ, რომ ამ პროექტზე უკვე მუშაობენ სტუდია „დესპანის“ ანიმატორები და გრაფიკოსები. ვიღებთ იმ ადგილებს, სადაც ხდებოდა დიდი ისტორიული ქარტეხილები. პროექტი არსებობს მხოლოდ შემოწირულებებით.

გმადლობთ, მესვეურებო, ერთგულებისთვის.

## ჯენიფერ ლოპესმა დევიდ კომას სამოსი მოირგო

მსოფლიო პოპვარსკვლავმა ჯენიფერ ლოპესმა ქართველი დიზაინერის დევიდ კომას სამოსი მოირგო და პაპარაცების წინაშე იპოზიორა.

ჯენიფერი დავით კომახიძის ორიგინალური კაბით ემ ტი ვის 2021 წლის მუსიკალური ვიდეოების დაჯილდოებაზე მივიდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ასტროპროგნოზი



15 სექტემბრისათვის

**ვერძი** — მშვენიერი დღეა ახალი იდეების რეალიზაციისათვის. მთავარია, დაწყებული საქმე შუა გზაზე არ მიატოვოთ. **კურო** — ურთიერთობა გარშემომყოფებთან ჰარმონიულია. ირწმუნეთ საკუთარი ძალების. **ტყუპები** — მოულოდნელი ინფორმაცია დაგაფიქრებთ. შესაძლოა, გეგმებიც შეგეცვალოთ. **კირჩხიბი** — არაკეთილისმყოფელი დღეა. მატერიალური მდგომარეობა უარესდება. **ლომი** — სასიყვარულო ურთიერთობები დიდებულად ვითარდება. თავს ბედნიერად და ლაღად გრძნობთ. **ქალწული** — ოჯახის წევრებთან ურთიერთობა სტაბილურდება. ნუ ეცდებით, ყველას ჭკუა ასწავლოთ. **სასწორი** — წინააღმდეგობრივი დღეა. მთელი ყურადღება სამუშაოსკენ მიმართეთ. **ღრიანკალი** — დღეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ. თავს მოუარეთ. **მშვილდოსანი** — ოჯახში დაძაბულობაა. მშვიდად იყავით და საქმეც უკეთესობისკენ წავა. **თხის რქა** — დღეს შესაძლოა დიდი ხნის ოცნება აისრულოთ. ოჯახის წევრებს მეტი გულისხმიერებით მოეპყარით. **მერწყული** — კამათში ნუ ჩაერთვებით. ნებისმიერ შემთხვევაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **თევზები** — საკმაოდ დადებითი დღეა. სასიამოვნო სიახლეები სასიცოცხლო პოტენციალს აგიმაღლებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. კვერცხის გულით, წებოთი და ზეთის ხსნარით შეზავებული სახატავი საღებავი; 2. პერიოდულად შრობადი მდინარეების საერთო სახელწოდება ავსტრალიაში; 3. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 4. ყვავილოვანი კომბოსტოს ერთ-ერთი სახეობა; 5. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ავსტრიული ფირმა; 9. ქართული ფარმაცევტული კომპანია; 12. ცხვრის ხორცისგან მომზადებული წვნიანი კერძი; 14. შამფურზე მწვადად ასაგები ხორცის ნაჭრები; 15. თავადთა ტიტული ინდოეთში; 17. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 18. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

**თარაზულად:** 6. დაბალხარისხოვანი მატყლის მოთელილი ნაბადი; 7. პირველი კოსმონავტი; 8. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 10. შვედური ავტომობილი; 11. ქართული ხალხური ზღაპარი; 13. ჩქარი მატარებელი; 16. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 19. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 20. წყლის ტრამვაი ვენეციაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

